# სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“

## ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 5
4. არსებითი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები 22
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
6. საბანკო ანაბრები 24
7. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 25
8. სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით 25
9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები 26
10. გადასახადებით დაბეგვრა 34
11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება 37
12. საინვესტიციო ქონება 37
13. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 38
14. სხვა აქტივები 39
15. საკუთარი კაპიტალი 39
16. ნასესხები სახსრები 40
17. სხვა ვალდებულებები 40
18. პირობითი ვალდებულებები 41
19. ინვესტიციის შედეგი 42
20. საპროცენტო ხარჯი 43
21. სხვა შემოსავალი და ხარჯი 43
22. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 43
23. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 43
24. გაუფასურების ხარჯი 44
25. რისკის და კაპიტალის მართვა 44
26. სამართლიანი ღირებულების შეფასება 51
27. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 53
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 55

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ აქციონერს და სამეთვალყურეო საბჭოს

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### *მოსაზრება*

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ (შემდგომში „კომპანია“)ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### *მოსაზრების საფუძველი*

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

"ერნსტ ენდ იანგის" გლობალური ქსელის წევრი ფირმა | A member firm of Ernst & Young Global Limited

Building a better
working world

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე  ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

*ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა  ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული  ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის  ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Building a better working world

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

Building a better
working world

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში**

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი (SARAS-A-615243)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2023 წლის 21 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | 2023 | 2022 (გადაანგარიშებული) | 2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული) |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5 | 4,173 | 5,659 | 3,499 |
| საბანკო ანაბრები | 6 | 25,994 | 19,785 | 20,318 |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 7 | 3,072 | 7,001 | 6,636 |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 8 | 1,796 | 501 | – |
| გაცემული სესხები | | – | – | 1,407 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 9 | 3,102 | 1,418 | 1,719 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | 10 | – | 346 | 364 |
| ძირითადი საშუალებები | 11 | 11,727 | 10,225 | 3,987 |
| გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები | 13 | 5,794 | 5,672 | 5,451 |
| საინვესტიციო ქონება | 12 | 9,313 | 9,352 | 9,352 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 10 | – | 432 | 432 |
| სხვა აქტივები | 14 | 3,083 | 3,814 | 2,207 |
| **სულ აქტივები** | | **68,054** | **64,205** | **55,372** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 15 | 7,558 | 7,582 | 7,557 |
| დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი | | 17,159 | 16,950 | 16,654 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 12,811 | 10,786 | 8,212 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | 15 | **37,528** | **35,318** | **32,423** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები | | 715 | – | – |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 9 | 17,120 | 16,546 | 16,475 |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 9 | 1,331 | 455 | 110 |
| ნასესხები სახსრები | 16 | 3,206 | 4,302 | 4,469 |
| სხვა ვალდებულებები | 17 | 8,154 | 7,584 | 1,895 |
| **სულ ვალდებულებები** | | **30,526** | **28,887** | **22,949** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **68,054** | **64,205** | **55,372** |

* *კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ასახავს ფასს (IFRS) 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) და ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) მიღებისთვის განხორციელებულ კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში, მე-33 შესაბამისად.*

დამტკიცებულია და გამოსაშვებად ნებადართულია სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“-ის დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი — ნოდარ გელოვანი

ფინანსური დირექტორი — არჩილ ქაჯაია

2024 წლის 21 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

5-55 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | 2023 | 2022 (გადაანგარიშებული) | 2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული) |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5 | 4,173 | 5,659 | 3,499 |
| საბანკო ანაბრები | 6 | 25,994 | 19,785 | 20,318 |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 7 | 3,072 | 7,001 | 6,636 |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 8 | 1,796 | 501 | – |
| გაცემული სესხები | | – | – | 1,407 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 9 | 3,102 | 1,418 | 1,719 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | 10 | – | 346 | 364 |
| ძირითადი საშუალებები | 11 | 11,727 | 10,225 | 3,987 |
| გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები | 13 | 5,794 | 5,672 | 5,451 |
| საინვესტიციო ქონება | 12 | 9,313 | 9,352 | 9,352 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 10 | – | 432 | 432 |
| სხვა აქტივები | 14 | 3,083 | 3,814 | 2,207 |
| **სულ აქტივები** | | **68,054** | **64,205** | **55,372** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 15 | 7,558 | 7,582 | 7,557 |
| დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი | | 17,159 | 16,950 | 16,654 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 12,811 | 10,786 | 8,212 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **15** | **37,528** | **35,318** | **32,423** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები | | 715 | – | – |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 9 | 17,120 | 16,546 | 16,475 |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 9 | 1,331 | 455 | 110 |
| ნასესხები სახსრები | 16 | 3,206 | 4,302 | 4,469 |
| სხვა ვალდებულებები | 17 | 8,154 | 7,584 | 1,895 |
| **სულ ვალდებულებები** | | **30,526** | **28,887** | **22,949** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **68,054** | **64,205** | **55,372** |

* *კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ასახავს ფასს (IFRS) 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) და ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) მიღებისთვის განხორციელებულ კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში, მე-33 შესაბამისად.*

დამტკიცებულია და გამოსაშვებად ნებადართულია სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“-ის დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი — ფინანსური დირექტორი

ნოდარ გელოვანი — არჩილ ქაჯაია

2024 წლის 21 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

# მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება

# 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | *2023* | *2022 (გადაანგარიშებული)** |
|---|---|---|---|
| სადაზღვევო ამონაგები | | 92,401 | 75,861 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | | (75,418) | (64,314) |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე** | **9** | **16,983** | **11,547** |
| გადაზღვევის პრემიების განაწილება | | (1,051) | (939) |
| გადამზღვევებისგან სარჩელებზე გაწეული ხარჯებისთვის მისაღები თანხები | | 216 | 56 |
| საკომისიო შემოსავალი | | 146 | 125 |
| **წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან** | **9** | **(689)** | **(758)** |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | | **16,294** | **10,789** |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო ამონაგები | | 4,351 | 3,755 |
| წმინდა სამართლიანი ღირებულების შემოსულობა/ზარალი) სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე | | (54) | 24 |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი | | 7 | 42 |
| საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა | | 143 | 688 |
| **სულ საინვესტიციო შემოსავალი** | **19** | **4,447** | **4,509** |
| ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები | 22 | (6,476) | (5,669) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 23 | (2,023) | (2,339) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | 11,13 | (2,349) | (2,058) |
| გაუფასურების ხარჯი სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე | 9, 24 | (265) | (163) |
| სხვა შემოსავალი და ხარჯი | 21 | 51 | (25) |
| საპროცენტო ხარჯი | 19 | (876) | (848) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | | **8,803** | **4,196** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 10 | (1,717) | (572) |
| **წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი** | | **7,086** | **3,624** |

* *კონკრეტული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ასახავს ფასს (IFRS) 17-ის (სადაზღვევო ხელშეკრულებები) და ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) მიღებისთვის განხორციელებულ კორექტირებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში, 3 შენიშვნის შესაბამისად.*

# საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | სააქციო კაპიტალი | დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **2021 წლის 31 დეკემბერი, ადრე გაცხადებული** | | **7,557** | **16,654** | **8,517** | **32,728** |
| ფასს (IFRS) 17-ის და ფასს (IFRS) 9-ის პირველი გამოყენების გავლენა (მე-3 შენიშვნა) | | | | (305) | **(305)** |
| **გადაანგარიშებული ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | | **7,557** | **16,654** | **8,212** | **32,423** |
| პერიოდის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი | | – | – | 3,624 | **3,624** |
| სააქციო კაპიტალის ზრდა | 15 | 25 | 296 | | **321** |
| კომპანიის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები | 15 | – | – | (1,050) | **(1,050)** |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | | **7,582** | **16,950** | **10,786** | **35,318** |
| პერიოდის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი | | – | – | 7,086 | **7,086** |
| სააქციო კაპიტალის ზრდა | 15 | (24) | 209 | – | **185** |
| კომპანიის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები | 15 | – | – | (5,061) | **(5,061)** |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | | **7,558** | **17,159** | **12,811** | **37,528** |

# ფულადი ნაკადების ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნა | 2023 | 2022 |
|---|---|---|---|
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | | | |
| მიღებული სადაზღვევო პრემია | | 87,697 | 72,308 |
| გადახდილი გადაზღვევის პრემია | | – | (589) |
| სადაზღვევო სარგებელი და გადახდილი მოთხოვნები | | (69,035) | (58,111) |
| მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები | | 41 | 63 |
| გადახდილი შეძენის დანახარჯები | | (2,283) | (2,092) |
| გადახდილი ხელფასები და სარგებელი | | (6,278) | (5,611) |
| საქონლის და მომსახურებების სხვა მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები | | (1,855) | (2,127) |
| მიღებული პროცენტი | | 3,594 | 2,263 |
| სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები | | (772) | (845) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, წმინდა** | | **11,109** | **5,259** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (224) | (554) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **10,885** | **4,705** |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები** | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა | | (3,558) | (1,321) |
| შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | | 6,280 | 300 |
| ობიექტების და აღჭურვილობის შეძენა | | (3,404) | (855) |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (157) | (110) |
| გაცემული სესხის დაფარვა | | – | 1,415 |
| ანაბრების განთავსება | | (27,295) | (9,332) |
| ანაბრების გამოტანა | | 21,038 | 9,837 |
| შემოსულობა წარმოებული ფინანსური აქტივებიდან | | 1,577 | – |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | | 538 | – |
| **საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული/საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(4,981)** | **(66)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან | 16 | 4,914 | 7,246 |
| ნასესხები სახსრების დაფარვა | 16 | (6,017) | (7,406) |
| გადახდილი დივიდენდები | 15 | (5,061) | (1,050) |
| საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი | 17 | (192) | (212) |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | 17 | (478) | (456) |
| გადახდილი პროცენტი | 16 | (534) | (584) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(7,368)** | **(2,462)** |
| ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი | | (22) | (17) |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | | **(1,486)** | **2,160** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში** | | **5,659** | **3,499** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 5 | 4,173 | 5,659 |

*(ათას ლარში)*

# 1. ძირითადი საქმიანობა

სს "სადაზღვევო კომპანია იმედი ელ" (შემდგომში "იმედი ელ" ან "კომპანია", კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 204919008) (2014 წლამდე სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი") 1998 წელს დაფუძნდა.

„იმედი ლ“-ის ჯანმრთელობის დაზღვევის ბიზნესი ახდენს პერსონალური რისკების სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრის შეთავაზებას, მათ შორის კრიტიკული დაავადებების, უბედური შემთხვევების და სიცოცხლის სასწრაფო დაზღვევის პროდუქტებს, რომლებსაც ჯანმრთელობის და მგზავრობის დაზღვევის პოლისებთან ერთად სთავაზობს კორპორაციულ და საცალო კლიენტებს.

„იმედი ლ“ ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას, სიცოცხლის და არა სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის.

კომპანიის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს და მას აქვს დამატებითი მომსახურების ცენტრები თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ახალციხეში, რუსთავსა და გორში. კომპანიის იურიდიული მისამართია ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №9, 0154 თბილისი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ („მშობელი საწარმო“) , რომლის საბოლოო მფლობელია გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ლისტინგში შემავალი საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“.

# 2. მომზადების საფუძველი

## განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბერს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

# 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

## ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული).

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ბასს (IAS) 1-ის შესწორება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ - სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა
- „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის შესწორება
- „ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - ბასს (IAS) 12-ის შესწორება
- „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები“ - ბასს (IAS) 12-ის შესწორება.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

**ფასს (IFRS) 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“**

ფასს (IFRS) 17 ჩაანაცვლებს ფასს (IFRS) 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

*კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილება*

ფასს (IFRS) 17-ის მიღებამ არ შეცვალა კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების კლასიფიკაცია.
ფასს (IFRS) 17 ადგენს გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების და მის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარებისა და შეფასების კონკრეტულ პრინციპებს.

ფასს (IFRS) 17-ის მიხედვით, კომპანიის მიერ გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების უმეტესობის შეფასება შესაძლებელია პრემიების განაწილების მიდგომის გამოყენებით. პრემიების განაწილების მიდგომა, ფასს (IFRS) 17-ში მოცემულ ზოგად მოდელთან შედარებით, ამარტივებს სადაზღვევო ხელშეკრულებების შეფასებას.

პრემიების განაწილების მიდგომის შეფასების პრინციპები განსხვავდება ‘გამომუშავებული პრემიის მიდგომისგან’, რომელსაც იყენებს კომპანია ფასს (IFRS) 4-ის საფუძველზე, შემდეგ მნიშვნელოვან სფეროებში:

- დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულება ასახავს მიღებულ პრემიებს, გადავადებული აკვიზიციური ფულადი ნაკადებისა და გაწეული სადაზღვევო მომსახურებიდან მიღებული ამონაგების სახით აღიარებული თანხების გამოკლებით.
- დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსური რისკის ეფექტის შესაბამის კორექტირებას, როდესაც პრემიის გადახდის თარიღი და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პერიოდი 12 თვეზე მეტი ხნით არის ერთმანეთს დაშორებული;
- დარჩენილ დაფარვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირების მკაფიო შეფასებას, როდესაც ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, რათა მოხდეს ზარალის კომპონენტის გამოთვლა (მანამდე ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნის ნაწილი);
- დამდგარ სადაზღვევო ზარალთან (ადრე აუნაზღაურებელი ზარალი და დამდგარი, მაგრამ არ გაცხადებული სადაზღვევო ზარალი) დაკავშირებული ვალდებულების შეფასება განისაზღვრება დისკონტირებული ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს არაფინანსური რისკის მკაფიო კორექტირებას. ვალდებულება მოიცავს კომპანიის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომ გადაიხადოს სხვა დამდგარი სადაზღვევო ხარჯები;
- აქტივის დარჩენილი სადაზღვევო დაფარვის შეფასება (რომელიც ასახავს ფლობილი გადაზღვევისთვის გადახდილ გადაზღვევის პრემიებს) კორექტირდება, რათა მოიცავს ზარალის ამოღების კომპონენტი და ასახოს წაგებიან ხელშეკრულებაზე გაწეული ზარალის მოსალოდნელი ამოღება, თუ ეს ხელშეკრულებები გადააზღვევს პირდაპირ წაგებიან ხელშეკრულებებს.

კომპანია აკვიზიციურ ფულად ნაკადებს ანაწილებს გაცემული ან ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებზე, რომელთა გაცემაც მოსალოდნელია, სისტემურ და რაციონალურ საფუძველზე. დაზღვევის აკვიზიციური ფულადი ნაკადები მოიცავს ჯგუფზე და მომავალ ჯგუფებზე პირდაპირ მიკუთვნებად ფულად ნაკადებს, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია ამგვარ ჯგუფში ხელშეკრულებების განახლებებიდან. დაზღვევის ამგვარი აკვიზიციური ფულადი ნაკადების გადახდისას (ან როდესაც ვალდებულების აღიარება ხდება სხვა ფასს-ის გამოყენების გზით) სადაზღვევო ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის აღიარებამდე, აღიარდება აქტივი დაზღვევის აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის. სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარებისას დაზღვევის აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის აქტივის შესაბამისი წილის აღიარება წყდება და ჯამი ჯგუფდება სადაზღვევო ვალდებულების საწყისი აღიარების შეფასების გზით, დაკავშირებული ჯგუფის დარჩენილი დაფარვის თანხისთვის.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

*ცვლილებები წარდგენასა და განმარტებით შენიშვნებში*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენის მიზნით, კომპანიამ განახორციელა გაცემული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აგრეგირება, შესაბამისად, და ის მათ ცალ-ცალკე წარმოადგენს:

- გაცემული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებს წარმოადგენს;
- გაცემული სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს;
- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც აქტივებს წარმოადგენს;
- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს;

ზემოთ ხსენებული პორტფელები წარმოადგენს საწყისი აღიარებისას დადგენილ პორტფელებს, ფასს (IFRS) 17-ის მოთხოვნების შესაბამისად.

გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები მოიცავს სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადების ნებისმიერ აქტივს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მუხლის აღწერები მნიშვნელოვნად შეიცვალა წინა პერიოდთან შედარებით. ადრე კომპანიამ განახორციელა შემდეგი ანგარიშგების მუხლების გაცხადება:

- სადაზღვევო ხელშეკრულებებზე გამომუშავებული მთლიანი პრემია;
- სადაზღვევო ხელშეკრულებებზე გამომუშავებული პრემიების გადამზღვეველის წილი;
- მთლიანი სადაზღვევო მოთხოვნების ხარჯები;
- სადაზღვევო მოთხოვნების ხარჯების გადამზღვეველის წილი;
- მოთხოვნების დაფარვის ხარჯები;
- შემოსავალი რეგრესიდან და ქონების გადარჩენიდან;
- წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების და მოთხოვნების დამუშავების ხარჯები.

ამის ნაცვლად, ფასს (IFRS) 17 მოითხოვს შემდეგი მუხლების ცალ-ცალკე წარდგენას:

- სადაზღვევო ამონაგები;
- სადაზღვევო მომსახურების ხარჯები;
- შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან.

*სტანდარტზე გადასვლა*

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, 2023 წლის 1 იანვარს კომპანიამ:

- გამოავლინა, აღიარა და შეაფასა სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფი, ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს (IFRS) 17-ს;
- გამოავლინა, აღიარა და შეაფასა აქტივები სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის, ისე, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს (IFRS) 17-ს.
- შეწყვიტა ნებისმიერი არსებული ნაშთის აღიარება, რომლებიც არ იარსებებდა ფასს (IFRS) 17-ის ყოველთვის გამოყენებისას;
- აღიარა ამის შედეგად მიღებული ყოველგვარი წმინდა სხვაობა საკუთარ კაპიტალში

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია შეჯერება ფასს (IFRS) 4 / ბასს (IAS) 39 და ფასს (IFRS) 9 / ფასს (IFRS) 17-ის მიხედვით შედგენილ 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებებს შორის:

| | *2022, ადრე გაცხადებული რაოდენობით* | *ფასს (IFRS) 17-ის რეკლასიფი-კაციები* | *ფასს (IFRS) 17-ის კორექტირე-ბები* | *ფასს (IFRS) 9-ის რეკლასიფი-კაციები* | *ფასს (IFRS) 9-ის კორექტირე-ბები* | *2022 (გადაანგარი-შებული)* |
|---|---|---|---|---|---|---|
| სადაზღვევო ხელშეკრულებებზე გამომუშავებული მთლიანი პრემია | 74,870 | (74,870) | – | – | – | – |
| სადაზღვევო ამონაგები | – | 75,809 | 52 | – | – | 75,861 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | (60,587) | (3,680) | (47) | – | – | (64,314) |
| აკვიზიციური დანახარჯები | (3,624) | 3,624 | – | – | – | – |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე** | **10,659** | **883** | **5** | **–** | **–** | **11,547** |
| გადაზღვევის პრემიების განაწილება | – | (939) | – | – | – | (939) |
| გადამზღვევებისგან სარჩელებზე გაწეული ხარჯებისთვის მისაღები თანხები | – | 56 | – | – | – | 56 |
| საკომისიო შემოსავალი | – | 125 | – | – | – | 125 |
| **წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან** | **–** | **(758)** | **–** | **–** | **–** | **(758)** |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **10,659** | **125** | **5** | **–** | **–** | **10,789** |
| საპროცენტო შემოსავალი | 3,779 | – | – | (3,779) | – | – |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო ამონაგები | – | – | – | 3,755 | – | 3,755 |
| წმინდა სამართლიანი ღირებულების შემოსულობა/ზარალი) სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე | – | – | – | 24 | – | 24 |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების შემოსულობა/(ზარალი) | – | – | – | – | 42 | 42 |
| საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა შემოსულობა/(ხარჯი) | 688 | – | – | – | – | 688 |
| **სულ საინვესტიციო შემოსავალი** | **4,467** | **–** | **–** | **–** | **42** | **4,509** |
| ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები | (5,669) | – | – | – | – | (5,669) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (2,339) | – | – | – | – | (2,339) |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები | (2,058) | – | – | – | – | (2,058) |
| გაუფასურების ხარჯი სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე | (163) | – | – | – | – | (163) |
| სხვა შემოსავალი და ხარჯი | 100 | (125) | – | – | – | (25) |
| საპროცენტო ხარჯი | (848) | – | – | – | – | (848) |
| **მოგება დაბეგვრამდე** | **4,149** | **–** | **5** | **–** | **42** | **4,196** |
| | | | | | | – |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (572) | – | – | – | – | (572) |
| **წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი** | **3,577** | **–** | **5** | **–** | **42** | **3,624** |

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია შეჯერება ფასს (IFRS) 4 / ბასს (IAS) 39 და ფასს (IFRS) 9 / ფასს (IFRS) 17-ის საფუძველზე მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს შორის 2022 წლის 31 დეკემბერს:

| | 2022, ადრე გაცხადებული რაოდენობით | ფასს (IFRS) 17-ის რეკლასიფი-კაციები | ფასს (IFRS) 17-ის კორექტირე-ბები | ფასს (IFRS) 9-ის რეკლასიფი-კაციები | ფასს (IFRS) 9-ის კორექტირე-ბები | 2022 (გადაანგარი-შებული) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | |
| საბანკო ანაბრები | 19,827 | – | – | – | (42) | **19,785** |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: | | | | | | |
| გასაყიდად არსებული | 7,531 | – | – | (7,531) | – | **–** |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | – | – | – | 7,030 | (29) | **7,001** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | – | – | – | 501 | – | **501** |
| სადაზღვევო მოთხოვნები | 28,442 | (28,442) | – | – | – | **–** |
| გადაზღვევის აქტივი | 275 | (275) | – | – | – | **–** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | – | 1,319 | 99 | – | – | **1,418** |
| გადავადებული აკვიზიციური დანახარჯები | 1,359 | (1,359) | – | – | – | **–** |
| **სულ აქტივები** | **92,934** | **(28,757)** | **99** | **–** | **(71)** | **64,205** |
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულება სარჩელებზე | 9,264 | (9,264) | – | – | – | **–** |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 33,964 | (17,704) | 286 | – | – | **16,546** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | – | 455 | – | – | – | **455** |
| სხვა ვალდებულებები | 9,828 | (2,244) | – | – | – | **7,584** |
| **სულ ვალდებულებები** | **57,358** | **(28,757)** | **286** | **–** | **–** | **28,887** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | | | |
| გაუნაწილებელი მოგება | 11,044 | – | (187) | – | (71) | **10,786** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **35,576** | **–** | **(187)** | **–** | **(71)** | **35,318** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | **92,934** | **(28,757)** | **99** | **–** | **(71)** | **64,205** |

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია შეჯერება ფასს (IFRS) 4 / ბასს (IAS) 39 და ფასს (IFRS) 9 / ფასს (IFRS) 17-ის საფუძველზე მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს შორის საწყისი აღიარების თარიღში 2022 წლის 1 იანვარს:

| | *2021 წლის 31 დეკემბერი, ადრე გაცხადებული* | *ფასს (IFRS) 17-ის რეკლასიფი-კაციები* | *ფასს (IFRS) 17-ის კორექტირე-ბები* | *ფასს (IFRS) 9-ის რეკლასიფი-კაციები* | *ფასს (IFRS) 9-ის კორექტირე-ბები* | *2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარი-შებული)* |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | |
| საბანკო ანაბრები | 20,401 | – | – | – | (83) | **20,318** |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: | | | | | | |
| გასაყიდად არსებული | 6,661 | – | – | (6,661) | – | **–** |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | – | | | 6,661 | (25) | **6,636** |
| გაცემული სესხები | 1,412 | – | – | – | (5) | **1,407** |
| სადაზღვევო მოთხოვნები | 23,050 | (23,050) | – | – | – | **–** |
| გადაზღვევის აქტივი | 319 | (319) | – | – | – | **–** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | – | 1,672 | 47 | – | – | **1,719** |
| გადავადებული აკვიზიციური დანახარჯები | 1,363 | (1,363) | – | – | – | **–** |
| სხვა აქტივები | 2,011 | 196 | – | – | – | **2,207** |
| **სულ აქტივები** | **78,302** | **(22,864)** | **47** | **–** | **(113)** | **55,372** |
| **ვალდებულებები** | | | | | | |
| ვალდებულება სარჩელებზე | 5,780 | (5,780) | – | – | – | **–** |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 31,681 | (15,445) | 239 | – | – | **16,475** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | – | 110 | – | – | – | **110** |
| სხვა ვალდებულებები | 3,644 | (1,749) | – | – | – | **1,895** |
| **სულ ვალდებულებები** | **45,574** | **(22,864)** | **239** | **–** | **–** | **22,949** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | | | |
| გაუნაწილებელი მოგება | 8,517 | – | (192) | – | (113) | **8,212** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **32,728** | **–** | **(192)** | **–** | **(113)** | **32,423** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | **78,302** | **(22,864)** | **47** | **–** | **(113)** | **55,372** |

### ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიამ ფასს (IFRS) 9 რეტროსპექტულად გამოიყენა და ფინანსური ინსტრუმენტების შესადარისი ინფორმაცია გადაიანგარიშა
ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში თავის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს (IFRS) 9-ის მიღებით წარმოშობილი სხვაობები აღიარებული იყო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება.

### კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილება

კლასიფიკაციის და შეფასების კატეგორიის განსაზღვრისთვის ფასს (IFRS) 9 მოითხოვს ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას კომპანიის აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელთან და ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებთან ერთად.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### კლასიფიკაციის და შეფასების ცვლილება (გაგრძელება)

ბასს (IAS) 39-ის შეფასების კატეგორიები ფინანსური აქტივებისთვის (სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, გასაყიდად არსებული, დაფარვის ვადამდე ფლობილი და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები და მოთხოვნები) ჩანაცვლდა შემდეგით:

- მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.
- ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები.
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (კომპანიაზე არ ვრცელდება)

ფასს (IFRS) 9-ის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონია კომპანიის კაპიტალზე 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის მოგება-ზარალსა და მთლიან სრულ შემოსავალზე, ქვემოთ მოცემული ცხრილების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ადრე გასაყიდად არსებულის კატეგორიაშია აღიარებული, გადაკლასიფიცირდა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად ფასს (IFRS) 9-ის მიღებისას, შეფასებაში არაარსებითი განსხვავებით ბასს (IAS) 39-ის ფარგლებში 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათ საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულ ღირებულებას შორის, გაუფასურების ჩათვლით, რომელიც ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე ფასდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია განმარტებულია ქვემოთ, თავში ფინანსური აქტივების შესახებ.

### გაუფასურების დაანგარიშების ცვლილება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ შეცვალა კომპანიის მიერ გაუფასურების ზარალის აღიარება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ბასს (IAS) 39-ის გაწეული ზარალის მიდგომის საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს (IFRS) 9 მოითხოვს კომპანიისგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღრიცხვას ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომელთა ფლობა არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავალო ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წილს, რაც გამოწვეული იქნება დეფოლტის შემთხვევებიდან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, აქტივების წარმოშობიდან ან შეძენიდან საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, რეზერვი ეფუძნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ სრულ საკრედიტო ზარალს.

### ბასს (IAS) 1-ის შესწორება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ - სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა

შესწორების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ამ ცვლილებებს გავლენა ჰქონდათ კომპანიის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გაცხადებაზე და არა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებაზე ან წარდგენაზე.

კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული თავისი განმარტებითი შენიშვნები, როგორც ეს ნაჩვენებია წინამდებარე შენიშვნაში. გადასინჯული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებთან მიმართებაში და ის მეტწილად მოიცავს ისეთ საკითხებს, სადაც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებებს ექვემდებარება და გამორიცხავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის არამატერიალური საკითხების შესახებ.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სხვა შესწორებები

სხვა შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

### დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია გასცემს სადაზღვევო ხელშეკრულებებს საქმიანობის ჩვეულ პირობებში, რომლის ფარგლებშიც ის იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი პოლისის მფლობელებისგან. ზოგადი სახელმძღვანელო მითითების სახით, კომპანია განსაზღვრავს აქვს თუ არა მას მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ გადასახდელი სარგებლების იმ გადასახდელ სარგებლებთან შედარების გზით, რომელიც წარმოიშობოდა სადაზღვევო შემთხვევის არ არსებობის დროს. სადაზღვევო ხელშეკრულებამ შესაძლოა ასევე გადასცეს ფინანსური რისკი.

კომპანია ასევე გასცემს გადაზღვევის ხელშეკრულებებს საქმიანობის ჩვეულ პირობებში, სხვა საწარმოებისთვის, ამგვარი საწარმოების მიერ გაცემული ერთი ან მეტი სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი სარჩელებისთვის.

კომპანია არ გასცემს ხელშეკრულებებს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით.

### აგრეგირების დონე

ფასს (IFRS) 17 კომპანიისგან მოითხოვს აგრეგირების დონის განსაზღვრას თავისი მოთხოვნების გამოსაყენებლად.

კომპანიის აგრეგირების დონე პირველ რიგში განისაზღვრება პორტფელში განსაზღვრული ბიზნესის დაყოფის გზით. პორტფელი შედგება მსგავსი რისკების მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებისგან, რომლებიც ერთად იმართება. წამოწყებისას მოსალოდნელი მომგებიანობის საფუძველზე პორტფელები შემდგომ სამ კატეგორიად იყოფა: წაგებიანი ხელშეკრულებები, ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ წაგების მნიშვნელოვანი რისკი და დარჩენილები. ეს იმას ნიშნავს, რომ აგრეგირების დონის განსაზღვრისთვის კომპანია ხელშეკრულებებს განსაზღვრავს, როგორც უმცირეს 'ერთეულს', ე.ი. ყველაზე დაბალ საერთო მნიშვნელს. ამასთან, კომპანია აფასებს ხელშეკრულებები უნდა დამუშავდეს თუ არა ერთად, ერთი მუხლის სახით, გონივრული და მხარდამჭერი ინფორმაციის საფუძველზე, ან ერთი ხელშეკრულება ხომ არ შედგება კომპონენტებისგან, რომლებიც საჭიროებს გამიჯვნას და ისე დამუშავებას, თითქოს ისინი განცალკევებულ ხელშეკრულებებს წარმოადგენდნენ. როგორც ასეთი, ის, რაც მიიჩნევა ხელშეკრულებად ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვა მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებისგან (მაგ. იურიდიული ან მმართველობის).

ფასს (IFRS) 17 ასევე მოითხოვს იმას, რომ აგრეგირების მიზნით არცერთი ჯგუფი არ უნდა მოიცავდეს ერთ წელზე მეტი ინტერვალით გაცემულ ხელშეკრულებებს. კომპანიამ გადაწყვიტა დაეჯგუფებინა ეს ხელშეკრულებები, რითაც ისინი სხვადასხვა ჯგუფებში მოხვდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ან რეგულაცია კონკრეტულად განსაზღვრავს მის პრაქტიკულ უნარს განსხვავებული ფასი ან სარგებლის დონე დააწესოს სხვადასხვა მახასიათებლების მქონე პოლისის მფლობელებისთვის.

ფასს (IFRS) 17-ზე გადასასვლელად კომპანიამ სრულად რეტროსპექტული მიდგომა გამოიყენა. აღიარების და შეფასების მიზნებისთვის პორტფელები შემდგომში დაიყოფა გამოშვების წლის და მომგებიანობის მიხედვით. გარდა ამისა, გამოშვების თითოეულ წელს ხელშეკრულებების პორტფელები სამ ჯგუფად იყოფა, შემდეგი სახით:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც საწყისი აღიარებისას წაგებიანია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლების შემდგომში წაგების მნიშვნელოვანი ალბათობა არ არსებობს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პორტფელში დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ხელშეკრულებების ჯგუფების მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც ითვალისწინებს არსებულ და ახალ ბიზნესს. კომპანიამ ივარაუდა, რომ პორტფელში არცერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი საწყისი აღიარებისას, თუ ფაქტები და ვითარებები სხვაზე არ მეტყველებს. ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ არიან წაგებიანი, კომპანია საწყისი აღიარებისას აფასებს, რომ არ არსებობს შემდგომში წაგებიანად გახდომის მნიშვნელოვანი ალბათობა, არსებული ფაქტების და ვითარებების ცვლილების ალბათობის შეფასების გზით.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### აგრეგირების დონე (გაგრძელება)

კომპანია ითვალისწინებს ფაქტებს და ვითარებებს იმის გამოსავლენად, ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია თუ არა, შემდეგ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- ფასწარმოების ინფორმაცია
- მის მიერ აღიარებული მსგავსი ხელშეკრულებების შედეგები
- ეკოლოგიური ფაქტორები, მაგ. ცვლილება ბაზრის გამოცდილებასა და რეგულაციებში

კომპანია გადაზღვევის ხელშეკრულებების ფლობილი პორტფელების დაყოფას ახორციელებს ზემოთ განსაზღვრული იგივე პრინციპების გამოყენებით, გარდა წაგებიან ხელშეკრულებებზე მიმართებისა, რომლებიც გულისხმობს საწყისი აღიარებისას წმინდა შემოსულობის მქონე ხელშეკრულებებს. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ზოგიერთი ჯგუფისთვის, ჯგუფი შესაძლოა ერთი ხელშეკრულებისგან შედგებოდეს.

### აღიარება

კომპანია აღიარებს მის მიერ გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს, ქვემოთ მითითებული შემთხვევებიდან უადრესით:

- ხელშეკრულებების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც უნდა განხორციელდეს პირველი გადახდა ჯგუფში პოლისის მფლობელისგან ან როდესაც მიიღება არა ვადადამდგარი პირველი გადახდა;
- წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, თუ ფაქტები და ვითარებები მიუთითებს, რომ ჯგუფი წაგებიანია;

კომპანია აღიარებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომლებიც მან გააფორმა ქვემოთ მითითებული შემთხვევებიდან უადრესით:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დასაწყისი; თუმცა, კომპანია აფერხებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ პროპორციულ დაფარვას იმ თარიღამდე, როდესაც მოხდება ქვემდებარე სადაზღვევო ხელშეკრულების საწყისი აღიარება, თუ ეს თარიღი დადგება ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დაფარვის პერიოდის დაწყების შემდეგ.
- თარიღი, როდესაც კომპანია აღიარებს ქვემდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, თუ კომპანია გააფორმებს დაკავშირებულ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებას ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფში, ამ თარიღში ან ამ თარიღამდე.

კომპანია ჯგუფს ახალ ხელშეკრულებებს ამატებს საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ განსაზღვრულ ერთერთ კრიტერიუმს.

### ხელშეკრულების ფარგლები

კომპანიამ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასებაში უნდა გაითვალისწინოს ყველანაირი მომავალი ფულადი ნაკადი, რომელიც განეკუთვნება ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების ფარგლებს. ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც კომპანიას შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან კომპანიას აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო ხელშეკრულებები - საწყისი შეფასება

კომპანიამ მიიღო პრემიების განაწილების მიდგომის მეთოდი, როგორც ფასს (IFRS) 17-ის ზოგადი მოდელის გამარტივებული მიდგომა და იყენებს პრემიების განაწილების მიდგომას გაცემულ ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებაზე და ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებაზე.

ნავარაუდევი დაფარვის პერიოდი ყველა ბიზნეს ხაზის დაზღვევისა და გადაზღვევისთვის არის ერთი წელი ან ნაკლები და შესაბამისად ავტომატურად კვალიფიცირდება პრემიების განაწილების მიდგომისთვის. ხელშეკრულებები ერთ წელზე მეტი დაფარვის პერიოდით წარმოადგენს პორტფელის მცირე ნაწილს და არ არსებობს არსებითი სხვაობა დარჩენილი დაფარვის ვალდებულების შეფასებაში პრემიების განაწილების მიდგომასა და ზოგად მოდელს შორის, შესაბამისად ისინი კვალიფიცირდება პრემიების განაწილების მიდგომისთვის.

### ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - საწყისი შეფასება

კომპანია თავის გადაზღვევის აქტივებს აფასებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის, რომლებსაც ის ფლობს იგივე საფუძველზე, რომელზეც ფლობს მის მიერ გაცემულ დაზღვევის ხელშეკრულებებს.

### სადაზღვევო ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი დაფარვის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას აფასებს, როგორც დარჩენილი დაფარვის ვალდებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში:

- დამატებული პერიოდში მიღებული პრემიები;
- გამოკლებული სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები;
- დამატებული სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი თანხა, რომელიც ჯგუფისთვის აღიარდება, როგორც საანგარიშგებო პერიოდის ხარჯი;
- გამოკლებული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებებისთვის სადაზღვევო ამონაგებად აღიარებული თანხა.

კომპანია გაწეული სარჩელების ვალდებულებას აფასებს, როგორც გაწეულ მოთხოვნებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შესრულებას. შესრულების ფულადი ნაკადები მიუკერძოებელი ფორმით იყენებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამო დანახარჯების ან ძალისხმევის, ამგვარი მომავალი ფულადი ნაკადების ვადების და განუსაზღვრელობების გარეშე, რომლებიც ასახავს მიმდინარე შეფასებებს კომპანიის პერსპექტივიდან და მოიცავს არაფინანსური რისკის ექსკლუზიურ კორექტირებებს (რისკის კორექტირება). კომპანია არ ცვლის მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულების და გაწეული სარჩელების ვალდებულების შესაფასებლად ფინანსური რისკის ეფექტისთვის, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია გაწევიდან ერთი წლის ვადაში.

### ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - შემდგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომი შეფასება იგივე პრინციპებს ეყრდნობა, რომელსაც გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებები და ისინი მიღებულია ფლობილი გადაზღვევის კონკრეტული თვისებების ასახვის მიზნით.

### სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები

სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები წარმოიშობა გაყიდვის თვითღირებულებებიდან, ანდერრაიტინგის და ჯგუფის სადაზღვევო ხელშეკრულებების დაწყებიდან (გაცემული ან რომელთა გაცემაც მოსალოდნელია), რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელზე, რომლებსაც ეკუთვნის ჯგუფი.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო ხელშეკრულებები - მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას მაშინ, როდესაც:

- დაიფარება ხელშეკრულებასთან დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები (ე.ი. გაიხარჯება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ან

- შეიცვლება ხელშეკრულება ისეთი ფორმით, რომ მოდიფიცირება გამოიწვევს ცვლილებას შეფასების მოდელში ან მოქმედ სტანდარტში, ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის, შემდგომში ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში შესვლას. ასეთ შემთხვევაში კომპანია წყვეტს საწყისი ხელშეკრულების აღიარებას და მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას აღიარებს, როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიცირება არ მიიჩნევა აღიარების შეწყვეტად, კომპანია აღიარებს ხელშეკრულებით მოდიფიცირებისთვის გადახდილ ან მიღებულ თანხებს, როგორც შესაბამისი ვალდებულების კორექტირებას დარჩენილი დაფარვისთვის.

### წარდგენა

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე წარადგინა გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების საბალანსო ღირებულება, რომლებიც მოიცავს აქტივებს, გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელებს, რომლებიც მოიცავს ვალდებულებებს, ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელებს, რომლებიც მოიცავს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებს და პორტფელებს, რომლებიც მოიცავს ვალდებულებებს.

ნებისმიერი აქტივი სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის, რომლებიც აღიარდება შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმებამდე, შესულია სადაზღვევო ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის საბალანსო ღირებულებაში და განაწილდება დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების საბალანსო ღირებულებაზე.

კომპანია ახდენს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალში აღიარებული მთლიანი თანხის დეზაგრეგირებას სადაზღვევო მომსახურების შედეგში, რაც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯს.

### ურთიერთგადაფარვა

მნიშვნელოვანი კონტრაჰენტების სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს დაფარვა ნეტო საფუძველზე.

კომპანია არ ახდენს რისკის კორექტირების ცვლილების დეზაგრეგირებას არაფინანსური რისკისთვის ფინანსურ და არა ფინანსურ წილებს შორის და მოიცავს მთლიან ცვლილებას სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილის სახით.

კომპანია ცალკე წარადგენს შემოსავალს და ხარჯებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან, გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებების ხარჯების ან შემოსავლისგან.

### სადაზღვევო ამონაგები

კომპანია იყენებს დაზღვევის ამონაგების აღიარების ორ განცალკევებულ მეთოდს. ყველა თავისი პროდუქტისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის ყველა ამონაგებისგან განცალკევებით აღიარდება დროის გასვლისას. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, ამონაგების აღიარების შაბლონი წარმოქმნილი მოთხოვნების შაბლონის პროპორციულია. ამის მიზეზია რისკის არათანაბარი რეალიზაცია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტის შემთხვევაში.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალკე წარადგენს იმ თანხებს, რომელთა აღდგენაც მოსალოდნელია გადამზღვევებისგან და გადაზღვევის გადახდილი პრემიების განაწილებას. კომპანია ამუშავებს გადაზღვევის ფულად ნაკადებს, რომლებიც უკავშირდება სარჩელებს საბაზისო ხელშეკრულებებზე, როგორც იმ სარჩელების ნაწილს, რომელთა ანაზღაურებაც მოსალოდნელია ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და გამორიცხავს საინვესტიციო კომპონენტებს და საკომისიოებს გადაზღვევის პრემიების განაწილებიდან, რომელიც წარდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მუხლში.

### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

### საწყისი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს მოდელზე.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება გარიგების თარიღში და ფასდება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ამ თანხას.

### შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით შემდგომი შეფასებისას, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

### სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივები

ამ კატეგორიაში ფინანსური აქტივები არის აქტივები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების ბიზნეს-მოდელში იმართება, ან რომლებიც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ საწყისი აღიარებისას, ან სავალდებულო წესით არის მოთხოვნილი მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში. ეს კატეგორია მოიცავს სავალო ინსტრუმენტებს, რომელთა ფულადი ნაკადების მახასიათებლები ვერ დააკმაყოფილებენ მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის ტესტის კრიტერიუმებს ან რომელთა ფლობაც არ ხდება იმ ბიზნეს-მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან ერთობლივად - მათი მიღება და გაყიდვა.

### შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცვლილება სამართლიან ღირებულებაში აღირიცხება მოგება-ზარალში. აქტივებზე დარიცხული პროცენტი უპირატესად ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

როდესაც კომპანია გადასცემს თავის უფლებებს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე და არც გადასცემს და შემდგომში არც შეინარჩუნებს აქტივის არ გადაცემულ კონტროლზე ყველა რისკს და სარგებელს, აქტივი აღიარდება კომპანიის მიერ აქტივში ჩართულობის გაგრძელების ფარგლებში. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს კომპანიას.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. საკრედიტო რისკის ზომისთვის, რომლისთვისაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღირიცხება საკრედიტო ზარალზე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევებიდან და რომელიც მოსალოდნელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო რისკის ზომისთვის, რომლისთვისაც ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარებიდან, ხოლო ზარალის რეზერვი საჭიროა საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია რისკის ზომის დარჩენილ ვადაზე, მიუხედავად დეფოლტის ვადისა (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად (გაუფასურებულად) მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებას ახდენს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის შეფასების სცენარების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება შესაბამისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის.

რადგან კომპანიას არ აქვს დეფოლტის და საკრედიტო ზარალის საკუთარი სტატისტიკური მონაცემები, ის იყენებს დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შედარებად ბაზას, რომელიც მიიღება აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებით. შედეგად მიღებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩვეულებრივ არაარსებითია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნების საფუძველზე საკრედიტო ხარისხის და კომპანიის სავალო ინსტრუმენტების ვადიანობის გათვალისწინებით.

კომპანია თავის აქტივებს ანაწილებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემული კატეგორიებიდან ერთ-ერთზე, რომლებიც ასე განისაზღვრება:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანია 12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ანგარიშობს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დეფოლტის მოსალოდნელი წარმოშობის საფუძველზე. ეს მოსალოდნელი 12-თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის საპროგნოზო დაუფარავ დავალიანებაზე, მრავლდება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დისკონტირდება შესაბამისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ეს დაანგარიშება ხორციელდება თითოეული ოთხი სცენარისთვის, რომელიც ზემოთ არის განმარტებული.

- აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - როდესაც ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა უჩვენა, კომპანია აღრიცხავს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მექანიზმი ზემოთ აღწერილის მსგავსია, ამთ შორის რამდენიმე სცენარის გამოყენების ჩათვლით, ხოლო დეფოლტის ალბათობა და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირდება შესაბამისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.
- გაუფასურება - გაუფასურებულად მიჩნეული სავალო ინსტრუმენტებისთვის კომპანია აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მეთოდი ჰგავს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აქტივებს, როდესაც დეფოლტის ალბათობა 100%-ით განისაზღვრება.

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიც არის წარმოებული ინსტრუმენტები, სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების 26-ე შენიშვნაშია განხილული.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სამართლიანი ღირებულებისთვის მთლიანობაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

### საპროცენტო შემოსავლის აღიარება

### ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში საპროცენტო შემოსავლის აღრიცხვა ხდება მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ყველა სავალო ფინანსური აქტივისთვის.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომლითაც ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ზუსტი დისკონტირება ფინანსური აქტივის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ან, შესაბამის ვითარებაში, უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებით (გარდა გაუფასურებული აქტივებისა, რადგან საპროცენტო შემოსავალი არიარდება წმინდა საბალანსო ღირებულებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლების შემდეგ).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) დაანგარიშდება საოპერაციო დანახარჯების და ნებისმიერი დისკონტირების ან პრემიის, ფინანსური აქტივის შეძენაზე, ასევე იმ საფასურების და დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს უკუგების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს უკუგების უცვლელი განაკვეთის შეფასებას სავალო ინსტრუმენტის მოსალოდნელი დროის განმავლობაში.

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ასევე არსებობს სურვილი განხორციელდეს გადახდა წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებო მითითება არსებობს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯების გამოკლებით. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტის, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, მიმდინარე ანგარიშებს და მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომელთა დაფარვის ვადაა წარმოშობის თარიღიდან სამი თვე, და თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან.

### ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება თვითღირებულებით აღირიცხება, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ეს დანახარჯები მოიცავს აღჭურვილობის ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. თვითღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან ვითარებების ცვლილება იმაზე მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა ვერ ანაზღაურდეს. გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯი.

აქტივის ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

| | *წელი* |
|---|---|
| საოფისე შენობა-ნაგებობები | 100 წლამდე |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10 |
| კომპიუტერული ტექნიკა | 5 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 5 |

აქტივის ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული დანახარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი

ძირითადი საშუალებების მუხლის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან მაშინ, როდესაც მოსალოდნელი არ არის მისი გამოყენების ან გასვლისას მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (დაანგარიშდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია მოგება-ზარალში, იმ წელს, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

### აქტივების გამოყენების უფლება

*იჯარების შეფასება და აღიარება, მოიჯარის სახით*

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ ნებისმიერ საწყის პირდაპირ დანახარჯებს, აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დანახარჯების შეფასებას, იჯარის ადის ბოლოს და ნებისმიერ საიჯარო გადახდებს, რომლებიც იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე გადაიხდება (მიღებული წამახალისებელი თანხების გამოკლებით).

კომპანია აქტივების გამოყენების უფლების ცვეთას აღრიცხავს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის დაწყების თარიღში, აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების და საიჯარო ვადის დასრულების დროს, იქედან გამომდინარე, რომელი უფრო ადრე მოხდება. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლებას გაუფასურებაზე, როდესაც ამგვარი ინდიკატორები არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამ თარიღში გადაუხდელი საიჯარო ვალდებულებების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (თუ ამგვარი განაკვეთი მარტივად ხელმისაწვდომია) ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### აქტივების გამოყენების უფლება (გაგრძელება)

კომპანიამ აირჩია მოკლევადიანი იჯარების და დაბალფასიანი აქტივების იჯარების აღრიცხვა პრაქტიკული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, მათთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია, როგორც ხარჯი მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება შესულია ძირითად საშუალებებში, ხოლო საიჯარო ვალდებულებები შესულია სხვა ვალდებულებებში.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას თვითღირებულებით ფასდება. საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი არამატერიალური აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას, შეძენის თარიღში. საწყისი აღიარებს შემდეგ არამატერიალური აქტივები დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით აღირიცხება.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ფასდება. შეზღუდული ეკონომიკური მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 1-დან 10 წლამდე ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადების მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდები და მეთოდები სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება.

კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. სხვა პროგრამული უზრუნველყოფების განვითარების დანახარჯები გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში.

### გუდვილი

გუდვილი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც წარმოადგენს გადაცემული საზღაურის აგრეგირებულ ნამატს და აღიარებული არა მაკონტროლებელი წილების და ნებისმიერ წინა ინტერესის თანხას, რომლის ფლობაც ხდება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა ოდენობით.

საწყისი აღიარების შემდეგ გუდვილი ფასდება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. გაუფასურების ტესტის მიზნით, შეძენის თარიღის შემდეგ საწარმოთა გაერთიანებაში შეძენილი გუდვილი, რომელიც გადანაწილდება კომპანიის ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულზე, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ექნებათ სარგებელი გაერთიანებიდან, შეძენილი კომპანიის მიუხედავად იმისა სხვა აქტივები ან ვალდებულებები მიენიჭება თუ არა ამ მუხლებს. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ გამოავლინა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეული - სამედიცინო დაზღვევის ბიზნესი - გუდვილის განაწილების და გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი საოპერაციო დანახარჯებსაც მოიცავს. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯს (მაგ. პროფესიული გასამრჯელოები იურიდიული მომსახურებებისთვის, ქონების გადაცემის გადასახადები).

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ამის შემდეგ, საინვესტიციო ქონება ასევე აღირიცხება თვითღირებულების მოდელით ბასს (IAS) 16-ის მოთხოვნების საფუძველზე.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება გასვლისას ან მაშინ, როდესაც საინვესტიციო ქონება მუდმივად არის ამოღებული მოხმარებიდან და მისი გასვლიდან მოსალოდნელი არ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ქონების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (დაანგარიშდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც მოხდა ქონების აღიარების შეწყვეტა.

### გადასახადებით დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ასევე აქვს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც ფასდება კომპანიის საქმიანობებზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტში.

### აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები

კომპანიის წამყვანი აღმასრულებელი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც ისინი გასწევენ მომსახურებებს კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების სანაცვლოდ. გამოცხადებული აქციებზე დაფუძნებული ყველა ანაზღაურების გეგმა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ოპერაციას წარმოადგენს.

ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ოპერაციების თვითღირებულება თავდაპირველად, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღში სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ბაზრის კოტირებების საფუძველზე. ეს სამართლიანი ღირებულება აღირიცხება იმ პერიოდში უფლების გადაცემის თარიღამდე, შესაბამისი ვალდებულების აღიარებით. ვალდებულება ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით ყოველ საანგარიშგებო თარიღში დაფარვის თარიღამდე (ჩათვლით), ხელფასებსა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებში აღიარებულ სამართლიან ღირებულებაში ცვლილებებით.

### საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ მიკუთვნებადი გარე დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები საკუთარი კაპიტალის შემოსულობებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან საანგარიშგებო თარიღში მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღამდე ან ამ თარიღში. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება საანგარიშგებო თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, და კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ქართულ ლარში კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული და საანგარიშგებო თარიღში მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როგორც საკურსო სხვაობით და კონვერტაციით მიღებული (ზარალი)/შემოსულობა.

*(ათას ლარში)*

## 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია (გაგრძელება)

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო სხვაობით და კონვერტაციით მიღებული (ზარალი)/შემოსულობა. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2.6894 | 2.7020 |
| 1 ევრო/ლარი | 2.9753 | 2.8844 |

| წლის საშუალო კურსი | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2.6279 | 2.9156 |
| 1 ევრო/ლარი | 2.8416 | 3.0792 |

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში, კომპანია იყენებს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, რომ მართოს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკი. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

### აქტივების და ვალდებულებების წარმოდგენა

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით, რაც ერგება თავისი მშობელი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას. ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი განსჯის საფუძველზე განსაზღვრა, რომ მშობელი საწარმო არის კომპანია ფინანსური ანგარიშგებების მთავარი მომხმარებელი და რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა ლიკვიდობის ხარისხის მიხედვით ყველაზე რელევანტურია მომხმარებლის საჭიროებისთვის. ინფორმაცია კომპანიის აქტივების და ვალდებულებების აღდგენის მოსალოდნელი ვადების შესახებ წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში

### ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალ და გადასინჯულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული, არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ფასს (IFRS) 16-ის შესწორება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში;
- ბასს (IAS) 1-ის შესწორება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება;
- მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები.

## 4. არსებითი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, განხილულია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

*(ათას ლარში)*

## 4. არსებითი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები (გაგრძელება)

### არაფინანსური რისკი

რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის არის ის კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს იმ განუსაზღვრელობისთვის, რომელიც უკავშირდება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს. რისკის კორექტირება ასახავს იმ თანხას, რომელსაც დამზღვევი რაციონალურად გადაიხდიდა იმ განუსაზღვრელობის გასაუქმებლად, რომელიც ეხება მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ღირებულების თანხაზე გადაჭარბებას.

კომპანიის რეგულირება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მას აქვს სავალდებულო საზედამხედველო კაპიტალის ყოველთვიური მოთხოვნა. რეგულაციის საფუძველზე კომპანია ვალდებულია იქონიოს კონკრეტული რეზერვები როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური რისკისთვის. მთლიანი საზედამხედველო რეზერვიდან კომპანიის ხელმძღვანელობა ადგილობრივად ამოჰყოფს არაფინანსური რისკების 10%-ს და არაფინანსური რისკების აღრიცხვისთვის იყენებს კაპიტალის თვითღირებულების მეთოდს. რისკის კორექტირების ვალდებულების თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 360 ლარი იყო, ხოლო კაპიტალის სავარაუდო გამოყენებული თვითღირებულება 17.5%.

### დარჩენილი დაფარვის ვალდებულება

### წაგებიანი ჯგუფები

წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფებისთვის, დარჩენილი დაფარვის ვალდებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების შესრულების გზით. ზარალის აღდგენის ნებისმიერი კომპონენტი განისაზღვრება იმ საბაზისო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის კომპონენტის და ამგვარ სარჩელებზე ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მოსალოდნელი აღდგენის გათვალისწინებით.2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს წაგებიანი ხელშეკრულებების არსებითი წილი.

### ფულის დროითი ღირებულება

კომპანია არ ცვლის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას დარჩენილ დაფარვაზე, ფულის დროითი ღირებულების და ფინანსური რისკის ეფექტის ასახვისთვის, დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რადგან მოსალოდნელია მისი დაფარვა ერთი წლის ვადაში.

### ვალდებულება წარმოშობილ მოთხოვნებზე

დაუფარავი მოთხოვნების საბოლოო თვითღირებულება ფასდება სხვადასხვა სტანდარტული აქტუარული მოთხოვნის პროექტირების ტექნიკების გამოყენებით.

ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი მოთხოვნების დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო მოთხოვნების დინამიკისა და, შესაბამისად, მოთხოვნების მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენენ გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა (მოთხოვნების დამუშავების დანახარჯები) და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული წლის ყოველთვიურ ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით. მოთხოვნების განვლილი განვითარება მეტწილად ფასდება შემთხვევების წლების მიხედვით, მაგრამ შესაძლოა დამატებით შეფასდეს მნიშვნელოვანი ბიზნეს-ხაზების და მოთხოვნების ტიპების მიხედვით. დიდი მოთხოვნები ჩვეულებრივ ცალკე დამუშავდება, ზარალის ნომინალური ღირებულებით მარეგულირებელი შეფასების დარეზერვების ან ცალკე დაპროექტების გზით, მათი მომავალი განვითარების ასახვის მიზნით. შემთხვევების უმეტესობაში დაშვებები არ გაკეთებულა მოთხოვნების ინფლაციის ან ზარალის კოეფიციენტების მომავალ განაკვეთებთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად, გამოყენებული დაშვებები ნაგულისხმევია განვლილი მოთხოვნების მიმდინარეობის მონაცემებში, რომლებსაც ეფუძნება პროგნოზები. იმ მასშტაბის შესაფასებლად, რომლებშიც შესაძლოა გამოიყენებოდეს განვლილი ტენდენციები მომავალში (მაგალითად ერთჯერადი შემთხვევების ასახვა, გარე ან ბაზრის ფაქტორების ცვლილება, რაც მოიცავს საზოგადოების შეხედულებას მოთხოვნაზე, ეკონომიკურ პირობებზე, მოთხოვნების ინფლაციის დონეებზე, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და კანონმდებლობაზე, ასევე შიდა ფაქტორებზე, როგორიც არის პორტფელების ნაზავი, პოლიტიკური მახასიათებლები და მოთხოვნების დამუშავების პროცედურები), გამოიყენება დამატებითი თვისობრივი განსჯა, იმ მოთხოვნების სავარაუდო საბოლოო თვითღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც წარმოშობს საშუალო შეწონილ მოსალოდნელ ღირებულებას შესაძლო შედეგების დიაპაზონიდან, ყველა არსებული განუსაზღვრელობის გათვალისწინებით.

მე-9 შენიშვნაში მოცემულია გაწეული მოთხოვნებისთვის ვალდებულების შემცველი გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის წმინდა აქტივის და ვალდებულების წინ გადატანა.

*(ათას ლარში)*

## 4. არსებითი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები (გაგრძელება)

### გუდვილის ამოღებადობა

კომპანია სულ მცირე წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს არის თუ არა გუდვილი გაუფასურებული. ეს მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულების გამოყენების ღირებულების შეფასებას, რომელზეც ვრცელდება გუდვილი. გამოყენების ღირებულების შეფასება მოითხოვს კომპანიის მიერ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას და შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის შერჩევას, ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დასაანგარიშებლად. გუდვილის თანხა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,462 ლარი იყო (2022 წლის 31 დეკემბერს: 3,462 ლარი).

გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

## 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 3 | – |
| მიმდინარე ანგარიშები | 4,170 | 5,659 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** | **4,173** | **5,659** |

ISSSG მოითხოვს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მინიმალური დონის შენარჩუნებას სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებების 10%-ის ოდენობით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული მარეგულირებელი რეზერვის მოთხოვნის დადგენილების სახით, რომელიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით შეადგენდა 1,996 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს: 1,822 ლარი).

## 6. საბანკო ანაბრები

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| საბანკო ანაბრები ლარში | 21,335 | 13,969 | 13,757 |
| საბანკო ანაბრები აშშ დოლარში | 4,710 | 5,858 | 6,644 |
| **საბანკო ანაბრები** | **26,045** | **19,827** | **20,401** |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1-ლი ეტაპი) | (51) | (42) | (83) |
| **მთლიანი წმინდა საბანკო ანაბრები** | **25,994** | **19,785** | **20,318** |

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია 12 და 24-თვიანი ანაბრებით, რომლებსაც 2023 წელს ერიცხებოდათ წლიური საპროცენტო განაკვეთი 4,3%-14% (2022 წლის 31 დეკემბერს: 3.85%-14.40%)

*(ათას ლარში)*

## 7. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| აშშ დოლარი | 1,665 | 1,308 | 640 |
| ლარი | 1,420 | 5,722 | 6,020 |
| **ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები** | **3,085** | **7,030** | **6,660** |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1-ლი ეტაპი) | (13) | (29) | (24) |
| **სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები** | **3,072** | **7,001** | **6,636** |

## 8. სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით შემდეგია:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| ლარი | – | – | – |
| აშშ დოლარი | 1,796 | 501 | – |
| **სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული სავალო ინსტრუმენტები** | **1,796** | **501** | **–** |

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახული კონკრეტული ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადები არ აკმაყოფილებდა ტესტის 'მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდა' (SPPI) მოთხოვნებს და შესაბამისად კლასიფიცირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახული სხვა აქტივები სავაჭროდ იყო შეძენილი. სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით წარმოდგენილია საქართველოს ბანკების და სხვა ქართული კომპანიების მიერ გამოშვებული ადგილობრივი ობლიგაციებით და ევრო ობლიგაციებით.

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ გაცემული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჩაშლა, რომლებიც აქტივის და ვალდებულების პოზიციაში არიან:

| | 2023 | | | 2022 | | | 2021 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებები | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა |
| ჯანმრთელობის დაზღვევა | 75 | (12,616) | **(12,541)** | 39 | (13,827) | **(13,788)** | 1,478 | (14,310) | **(12,832)** |
| სიცოცხლის და შეზღუდული შესაძლებლობების საკრედიტო დაზღვევა | 2,883 | (2,673) | **210** | 1,014 | (476) | **538** | – | (237) | **(237)** |
| სხვა | 144 | (1,831) | **(1,687)** | 365 | (2,243) | **(1,878)** | 241 | (1,928) | **(1,687)** |
| **სულ გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებები** | **3,102** | **(17,120)** | **(14,018)** | **1,418** | **(16,546)** | **(15,128)** | **1,719** | **(16,475)** | **(14,756)** |

| | 2023 | | | 2022 | | | 2021 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გაცემული გადაზღვევის ხელშეკრულებები | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა | აქტივი | ვალდე-ბულება | წმინდა |
| სიცოცხლის და შეზღუდული შესაძლებლობების საკრედიტო დაზღვევა | – | (1,331) | **(1,331)** | – | (455) | **(455)** | – | (110) | **(110)** |
| **სულ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები** | **–** | **(1,331)** | **(1,331)** | **–** | **(455)** | **(455)** | **–** | **(110)** | **(110)** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

წმინდა აქტივის და ვალდებულების წინ გადატანა გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც უჩვენებს დარჩენილი დაფარვის და წარმოშობილი მოთხოვნების ვალდებულებას

9.1 სულ:

| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე: ვალდებულებებ ი წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე: რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციურ ი ფულადი ნაკადებისთვ ის | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | – | 16,261 | 285 | 1 | **16,547** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (1,418) | – | – | – | **(1,418)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(1,418)** | **16,261** | **285** | **1** | **15,129** |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | **(93,173)** | – | – | – | **(93,173)** |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | **–** | **71,529** | **75** | **3,814** | **75,418** |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | – | 71,529 | 75 | 3,814 | **75,418** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | – | – | – | – | **–** |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **(93,173)** | **71,529** | **75** | **3,814** | **(17,755)** |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | **265** | **–** | **–** | – | **265** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(92,908)** | **71,529** | **75** | **3,814** | **(17,490)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 87,697 | – | – | – | **87,697** |
| მოთხოვნების დაფარვა | – | (69,035) | – | – | **(69,035)** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | – | – | – | (2,283) | **(2,283)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **87,697** | **(69,035)** | **–** | **(2,283)** | **16,379** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 3,527 | (1,995) | – | (1,412) | **120** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(3,102)** | **16,760** | **360** | **120** | **14,138** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | – | 16,760 | 360 | 120 | **17,240** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (3,102) | – | – | – | **(3,102)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(3,102)** | **16,760** | **360** | **120** | **14,138** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.1 სულ (გაგრძელება):

| | | არაფინანსური რისკის კორექტირება | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე | | | |
| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციურ ფულადი ნაკადებისთვის | სულ |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | – | 16,236 | 239 | – | **16,475** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (1,719) | – | – | – | **(1,719)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(1,719)** | **16,236** | **239** | **–** | **14,756** |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | **(76,602)** | **–** | **–** | **–** | **(76,602)** |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | **–** | **60,644** | **46** | **3,624** | **64,314** |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | – | 60,644 | 46 | 3,624 | **64,314** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | – | – | – | – | – |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **(76,602)** | **60,644** | **46** | **3,624** | **(12,288)** |
| **გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი** | **–** | **–** | **–** | **–** | **–** |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | **163** | **–** | **–** | **–** | **163** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(76,439)** | **60,644** | **46** | **3,624** | **(12,125)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 72,308 | – | – | – | **72,308** |
| მოთხოვნების დაფარვა | – | (58,111) | – | – | **(58,111)** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | – | – | – | (2,092) | **(2,092)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **72,308** | **(58,111)** | **–** | **(2,092)** | **12,105** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 4,432 | (2,508) | – | (1,532) | **392** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,418)** | **16,261** | **285** | **–** | **15,128** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | 16,261 | 285 | **–** | **16,546** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (1,418) | **–** | **–** | **–** | **(1,418)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,418)** | **16,261** | **285** | **–** | **15,128** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 ჯანმრთელობის დაზღვევა:

| | | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის | სულ |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | - | 13,593 | 234 | 1 | **13,828** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (39) | - | - | - | **(39)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(39)** | **13,593** | **234** | **1** | **13,789** |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | **(79,176)** | **-** | **-** | **-** | **(79,176)** |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | **-** | **67,181** | **53** | **2,233** | **69,467** |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | - | 67,181 | 53 | 2,233 | **69,467** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | - | - | - | - | - |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **(79,176)** | **67,181** | **53** | **2,233** | **(9,709)** |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | **380** | **-** | **-** | **-** | **380** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(78,796)** | **67,181** | **53** | **2,233** | **(9,329)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 77,499 | - | - | - | **77,499** |
| მოთხოვნების დაფარვა | - | (67,205) | - | - | **(67,205)** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | - | - | - | (1,897) | **(1,897)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **77,499** | **(67,205)** | **-** | **(1,897)** | **8,397** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 1,261 | (1,240) | - | (217) | **(196)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(75)** | **12,329** | **287** | **120** | **12,661** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 12,329 | 287 | **120** | **12,736** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (75) | - | - | - | **(75)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(75)** | **12,329** | **287** | **120** | **12,661** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 ჯანმრთელობის დაზღვევა:

| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე: ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე: რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | - | 14,120 | 190 | - | **14,310** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (1,478) | - | - | - | **(1,478)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(1,478)** | **14,120** | **190** | **-** | **12,832** |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | **(65,067)** | **-** | **-** | **-** | **(65,067)** |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | **-** | **58,878** | **44** | **1,875** | **60,797** |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | - | 58,878 | 44 | 1,875 | **60,797** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | - | - | - | - | - |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **(65,067)** | **58,878** | **44** | **1,875** | **(4,270)** |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | **182** | **-** | **-** | **-** | **182** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(64,885)** | **58,878** | **44** | **1,875** | **(4,088)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 63,675 | - | - | - | **63,675** |
| მოთხოვნების დაფარვა | - | (57,156) | - | - | **(57,156)** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | - | - | - | (1,714) | **(1,714)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **63,675** | **(57,156)** | **-** | **(1,714)** | **4,805** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 2,649 | (2,249) | - | (160) | **240** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(39)** | **13,593** | **234** | **1** | **13,789** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 13,593 | 234 | **1** | **13,828** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (39) | - | - | - | **(39)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(39)** | **13,593** | **234** | **1** | **13,789** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 არა-ჯანმრთელობის დაზღვევა:

| | | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის | სულ |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | - | 2,668 | 51 | - | 2,719 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (1,379) | - | - | - | (1,379) |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | (1,379) | 2,668 | 51 | - | 1,340 |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | (13,997) | - | - | - | (13,997) |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | - | 4,348 | 22 | 1,581 | 5,951 |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | - | 4,348 | 22 | 1,581 | 5,951 |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | - | - | - | - | - |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | (13,997) | 4,348 | 22 | 1,581 | (8,046) |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | (115) | - | - | - | (115) |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | (14,112) | 4,348 | 22 | 1,581 | (8,161) |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 10,198 | - | - | - | 10,198 |
| მოთხოვნების დაფარვა | - | (1,830) | - | - | (1,830) |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | - | - | - | (386) | (386) |
| **სულ ფულადი ნაკადები** | 10,198 | (1,830) | - | (386) | 7,982 |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 2,266 | (755) | - | (1,195) | 316 |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | (3,027) | 4,431 | 73 | - | 1,477 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 4,431 | 73 | - | 4,504 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (3,027) | - | - | - | (3,027) |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | (3,027) | 4,431 | 73 | - | 1,477 |

*(ათას ლარში)*

# 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 არა-ჯანმრთელობის დაზღვევა:

| | | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დარჩენილი დაფარვის ვალდებულებები | ვალდებულებები წარმოშობილ მოთხოვნებზე, გარდა რისკის კორექტირებისა | რისკის კორექტირება | აქტივები სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადებისთვის | სულ |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | - | 2,116 | 49 | - | 2,165 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (241) | - | - | - | (241) |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(241)** | **2,116** | **49** | **-** | **1,924** |
| **სადაზღვევო ამონაგები (1%-იანი საზედამხედველო საფასურის გამოკლებით)** | **(11,535)** | | | | **(11,535)** |
| **სადაზღვევო მომსახურების ხარჯები** | **-** | **1,766** | **2** | **1,749** | **3,517** |
| წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა ხარჯები | - | 1,766 | 2 | 1,749 | **3,517** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადების ამორტიზაცია | - | - | - | - | - |
| **სადაზღვევო მომსახურების შედეგი** | **(11,535)** | **1,766** | **2** | **1,749** | **(8,018)** |
| **გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებზე** | **(19)** | **-** | **-** | **-** | **(19)** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(11,554)** | **1,766** | **2** | **1,749** | **(8,037)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | | | |
| მიღებული პრემიები | 8,633 | - | - | - | **8,633** |
| მოთხოვნების დაფარვა | - | (955) | - | - | **(955)** |
| სადაზღვევო აკვიზიციური ფულადი ნაკადები | - | - | - | (378) | **(378)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **8,633** | **(955)** | **-** | **(378)** | **7,300** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 1,783 | (259) | - | (1,372) | **152** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,379)** | **2,668** | **51** | **(1)** | **1,339** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 2,668 | 51 | **(1)** | **2,718** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (1,379) | - | - | - | **(1,379)** |
| **წმინდა სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,379)** | **2,668** | **51** | **(1)** | **1,339** |

წმინდა აქტივის და ვალდებულების წინ გადატანა ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც უჩვენებს აქტივებს დარჩენილი დაფარვისთვის და წარმოშობილი მოთხოვნების ანაზღაურების თანხებზე. განმეორებით გაცემული ყველა ხელშეკრულება მხოლოდ არა ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებს მოიცავს.

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

| | აქტივები დარჩენილი დაფარვისთვის | ანაზღაურებადი თანხები წარმოშობილ მოთხოვნებზე | სულ |
|---|---|---|---|
| გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | – | – | – |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (455) | – | **(455)** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(455)** | **–** | **(455)** |
| **გადაზღვევის პრემიების განაწილება** | **(1,051)** | **–** | **(1,051)** |
| **გადამზღვევებისგან სარჩელებზე გაწეული ხარჯებისთვის მისაღები თანხები** | **–** | **216** | **216** |
| წარმოშობილ მოთხოვნებზე ანაზღაურების თანხები და სხვა ხარჯები | – | 216 | **216** |
| **წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან** | **(1,051)** | **216** | **(835)** |
| **გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი** | | | **–** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(1,051)** | **216** | **(835)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | |
| გადახდილი პრემიები | – | – | **–** |
| მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები | – | (41) | **(41)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **–** | **(41)** | **(41)** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | 175 | (175) | **–** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,331)** | **–** | **(1,331)** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | – | – | **–** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (1,331) | – | **(1,331)** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(1,331)** | **–** | **(1,331)** |

*(ათას ლარში)*

## 9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

| | აქტივები დარჩენილი დაფარვისთვის | ანაზღაურებადი თანხები წარმოშობილ მოთხოვნებზე | სულ |
|---|---|---|---|
| გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | – | – | – |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | (110) | – | **(110)** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო (აქტივები)/ვალდებულებები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(110)** | **–** | **(110)** |
| **გადაზღვევის პრემიების განაწილება** | **(939)** | | **(939)** |
| **გადამზღვევებისგან სარჩელებზე გაწეული ხარჯებისთვის მისაღები თანხები** | **–** | **56** | **56** |
| წარმოშობილ მოთხოვნებზე ანაზღაურების თანხები და სხვა ხარჯები | – | 56 | **56** |
| **წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან** | **(939)** | **56** | **(883)** |
| **გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი** | **12** | **–** | **12** |
| **სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში** | **(927)** | **56** | **(871)** |
| **ფულადი ნაკადები** | | | **–** |
| გადახდილი პრემიები | 589 | – | **589** |
| მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები | – | (63) | **(63)** |
| **სულ ფულადი ნაკადები** | **589** | **(63)** | **526** |
| სხვა ცვლილებები/ჩამოწერა | (7) | 7 | **–** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(455)** | **–** | **(455)** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | – | – | **–** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | (455) | – | **(455)** |
| **წმინდა გადაზღვევის სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **(455)** | **–** | **(455)** |

## 10. გადასახადებით დაბეგვრა

საშემოსავლო გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა | 1,285 | 572 |
| გადავადებული საგადასახადო სარგებელი - დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება | 432 | – |
| **სულ მოგების გადასახადის ხარჯი** | **1,717** | **572** |

საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთი იყო 15% 2023 წლისთვის (2022 წ.: 15%).

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან.

*(ათას ლარში)*

## 10. გადასახადებით დაბეგვრა (გაგრძელება)

31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების გადასახადის ხარჯი ეფუძნებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადის განაკვეთებს შემდეგი სახით:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **მოგება დაბეგვრამდე** | 8,803 | 4,149 |
| კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი | 15% | 15% |
| **თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით** | **1,320** | **622** |
| გამოუქვითავი ხარჯები | (35) | (15) |
| საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების ეფექტი | 432 | (35) |
| **მოგების გადასახადის ხარჯი** | **1,717** | **572** |

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შესწორებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. შესწორებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საფინანსო დაწესებულებებისთვის ამ ცვლილების ამოქმედების თარიღმა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაიწია, რომელიც 2022 წლის დეკემბერში 2024 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

ბოლო შესწორების ძალაში შესვლის შემდეგ კომპანიამ გადაიანგარიშა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები სადაზღვევო კომპანიებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეწყვიტა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება 2024 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდებისთვის და შესაბამისად აღიარა გადავადებული საგადასახადო ხარჯი 2023 წლის მოგება-ზარალში. ბასს (IAS) 12 (მოგებიდან გადასახადები) მოითხოვს კომპანიის მიერ 0%-იანი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებას გაუნაწილებელ მოგებაზე, იმ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებით, რომელთა რეალიზაცია ან დაფარვა მოსალოდნელია იმ პერიოდებში, როდესაც ახალი ნორმატიული აქტი შევა ძალაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული შესწორებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს (IAS) 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) მოქმედების არეალს და, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2024 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო კანონმდებლობის შესწორებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას კომპანიის 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*(ათას ლარში)*

## 10. გადასახადებით დაბეგვრა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი ცვლილების დინამიკა შესაბამისი პერიოდებისთვის შედგებოდა:

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში | 2022 წლის 31 დეკემბერი | მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|
| დასაქვითი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი: | | | | | |
| სადაზღვევო მოთხოვნები | 882 | 31 | 913 | (913) | – |
| **გადავადებული საგადასახადო აქტივები** | **882** | **31** | **913** | **(913)** | **–** |
| დასაბეგრი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი: | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 22 | 42 | 64 | (64) | – |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 367 | 35 | 402 | (402) | – |
| არამატერიალური აქტივები | 61 | (46) | 15 | (15) | – |
| **გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები** | **450** | **31** | **481** | **(481)** | **–** |
| **წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)** | **432** | **–** | **432** | **(432)** | **–** |
| **გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები** | **432** | **–** | **432** | **(432)** | **–** |
| **გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები** | **–** | **–** | **–** | **–** | **–** |

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარვას დაექვემდებარება, თუ კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე საგადასახადო აქტივების და მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება; ამასთან, როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრ კომპანიაზე ან კომპანიებზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს და როდესაც არსებობს ნაშთების ურთიერთგაქვითვის განზრახვა.

*(ათას ლარში)*

## 11. ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება

ძირითადი საშუალებები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | მიწა და შენობა-ნაგებობები | ავეჯი და მოწყობი-ლობები | კომპიუტე-რული ტექნიკა | ავტოსატრან-სპორტო საშუალებებო | საიჯარო ქონების გაუმჯობესება | აქტივების გამოყენების უფლება (შენობა-ნაგებობები) | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება | | | | | | | |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 2,177 | 1,543 | 3,044 | 251 | 876 | 1,788 | 9,679 |
| შესყიდვები | – | 24 | 238 | 6 | 809 | 6,748 | 7,825 |
| გასვლები | – | (21) | (1) | – | – | – | (22) |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2,177 | 1,546 | 3,281 | 257 | 1,685 | 8,536 | 17,482 |
| შესყიდვები | – | 49 | 136 | 46 | 3,092 | 275 | 3,598 |
| გასვლები | (516) | (23) | (3) | (48) | – | – | (590) |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 1,661 | 1,572 | 3,414 | 255 | 4,777 | 8,811 | 20,490 |
| დაგროვილი ცვეთა | | | | | | | |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 192 | 1,219 | 2,490 | 127 | 320 | 1,344 | 5,692 |
| ცვეთის დარიცხვა | 23 | 83 | 207 | 44 | 83 | 1,144 | 1,584 |
| გასვლები | (1) | (14) | (3) | – | – | (1) | (19) |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 214 | 1,288 | 2,694 | 171 | 403 | 2,487 | 7,257 |
| ცვეთის დარიცხვა | 22 | 78 | 212 | 36 | 36 | 1,253 | 1,637 |
| გასვლები | (80) | (5) | (2) | (44) | – | – | (131) |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 156 | 1,361 | 2,904 | 163 | 439 | 3,740 | 8,763 |
| წმინდა სააღრიცხვო ღირებულება | | | | | | | |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 1,963 | 258 | 587 | 86 | 1,282 | 6,049 | 10,225 |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 1,505 | 211 | 510 | 92 | 4,338 | 5,071 | 11,727 |

## 12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მიწა | 9,313 | 9,352 |
| სულ საინვესტიციო ქონება | 9,313 | 9,352 |

კომპანია საინვესტიციო ქონებისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელის. საინვესტიციო ქონების სავარაუდო საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

*(ათას ლარში)*

## 13. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | გუდვილი | ლიცენზიები | კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა | სულ |
|---|---|---|---|---|
| **მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება** | | | | |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | 3,462 | 2,312 | 2,834 | 8,608 |
| შესყიდვები | – | 235 | 460 | 695 |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 3,462 | 2,547 | 3,294 | 9,303 |
| შესყიდვები | – | 311 | 523 | 834 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 3,462 | 2,858 | 3,817 | 10,137 |
| **დაგროვილი ამორტიზაცია / გაუფასურება** | | | | |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | – | 1,573 | 1,584 | 3,157 |
| ამორტიზაციის დანარიცხი | – | 297 | 177 | 474 |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | – | 1,870 | 1,761 | 3,631 |
| ამორტიზაციის დანარიცხი | – | 317 | 395 | 712 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | – | 2,187 | 2,156 | 4,343 |
| **წმინდა სააღრიცხვო ღირებულება** | | | | |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | 3,462 | 677 | 1,533 | 5,672 |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | 3,462 | 671 | 1,661 | 5,794 |

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოთა გაერთიანებებიდან შეძენილი გუდვილი (შემდგომში კომპანიაში შერწყმული საწარმოების შეძენა) გადანაწილდა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულზე გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის - კომპანიის სამედიცინო დაზღვევის ბიზნესი.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულების შესაბამისად, ფულადი ნაკადების პროგნოზირების გზით, დამტკიცებულ ბიუჯეტზე დაყრდნობით, რომელიც სამწლიან ბიუჯეტს მოიცავდა, იმ დაშვებით, რომ საქმიანობა თანდათანობით გაფართოვდება და ფულადი ნაკადები სტაბილური იქნება. ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დაბეგვრამდელი კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას.

დისკონტირების განაკვეთი არ დაკორექტირდა მუდმივი ან კლებადი ზრდის ტემპისთვის იმ სამწლიანი პერიოდის მიღმა, რომელსაც ფინანსური ბიუჯეტები მოიცავს. გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის, დაშვებულია მუდმივი ზრდის 3%-იანი ტემპი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სამომავლო საოპერაციო ფულადი ნაკადების შესაფასებლად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ტესტის შედეგად გაუფასურება არ გამოვლენილა.

გუდვილის საბალანსო ღირებულება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდის მაჩვენებელი საპროგნოზო პერიოდში | გაუფასურების შეფასებაში გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 15% | 15.70% | 3,462 |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 15% | 17.50% | 3,462 |

*(ათას ლარში)*

## 14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| წარმოქმნილი ფინანსური აქტივები | 1,534 | 2,425 |
| ავანსები და წინასწარ გადახდილი თანხები | 823 | 695 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 408 | 420 |
| მარაგები | 318 | 270 |
| სხვა | – | 4 |
| სხვა აქტივები | 3,083 | 3,814 |

## 15. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფლებამოსილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 7,558 იყო (2022 წ.: 7,582) ერთ აქციაზე ნომინალური ღირებულებით 1 ლარი (არ არის მოცემული ათას ლარში). 16 აქცია ერთ აქციაზე ნომინალური ღირებულებით 1 ლარი გამოშვებულია 2023 წელს, აქციებზე დაფუძნებული გადახდის გეგმის პირობების შესაბამისად (2022 წ.: 24 აქცია, 25 ლარი). ყველა უფლებამოსილი აქცია გამოშვებული და სრულად გადახდილია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი 17,159 ლარს (2021 წ.: 16,950 ლარი) მოიცავდა. დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალის 209 ლარით ზრდა უკავშირდება აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას (2022 წ.: 296 ლარი).

აქციონერებმა განახორციელეს კომპანიის სააქციო კაპიტალის ლარში შეტანა და მათ აქვს ლარში დივიდენდების და კაპიტალის ნებისმიერი განაწილების მოთხოვნის უფლება. 2023 წელს 5,061 ლარის დივიდენდები გამოცხადდა და სრულად იქნა გადახდილი. ერთ აქციაზე დივიდენდებმა (DPS) 0,67 ლარი შეადგინა (არ არის მოცემული ათას ლარში). (1,050 ლარის დივიდენდები გამოცხადდა 2022 წელს. DPS: 0.14).

2023 წლის აპრილში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კომპანიის ხელმძღვანელობისთვის 19,787 ცალი B კლასის აქციის მინიჭების შესახებ. აქციების მინიჭება სამწლიანი უფლების გადაცემის პერიოდით განხორციელდა. კომპანია აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2023 წლის 19 აპრილს. კომპანიის შეფასებით გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება 7.78 ლარი იყო ერთ აქციაზე, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მესამე მხარის საშემფასებლო ანგარიშის საფუძველზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების გადაცემა არ მომხდარა.

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისთვის დაწესებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და ვრცელდება სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“-ზე. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური მოითხოვს 7,200 ლარის ოდენობით ნომინალური კაპიტალის შენარჩუნებას, რომლის 100% უნდა ინახებოდეს ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის ან საბანკო ანაბრების სახით (2022 წ.: 7,200 ლარი). ბანკის დასტურის წერილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ყოველთვიურად წარედგინება ზემოაღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნასთან შესაბამისობის დასამტკიცებლად. კომპანია რეგულარულად და თანმიმდევრულად აკმაყოფილებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას.

*(ათას ლარში)*

## 16. ნასესხები სახსრები

| ნასესხები სახსრები | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნასესხები სახსრები ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებებისგან | 3,206 | 4,302 |
| **სულ ნასესხები სახსრები** | **3,206** | **4,302** |

2023 წელს ადგილობრივი საფინანსო დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 6,62% იყო (2022 წ: 13,00%), ხოლო ვადა - საშუალოდ 172 დღე (2022 წ.: 323 დღე). 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა სესხის გამცემის ყველა ვალდებულებას.

საბანკო ანაბარი, რომელიც აშშ დოლარში იყო გამოხატული და 3,080 ლარს შეადგენდა, დაგირავებული იყო ადგილობრივი კომერციული ბანკისგან ნასესხები სახსრების ფარგლებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წ.: ნული).

ცვლილებები ნასესხებ სახსრებში საფინანსო საქმიანობებიდან:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| **1 იანვარი** | **4,302** | **4,469** |
| შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან | 4,914 | 7,246 |
| ნასესხები სახსრების დაფარვა | (6,017) | (7,406) |
| საპროცენტო ხარჯი | 550 | 587 |
| გადახდილი პროცენტი | (534) | (584) |
| სავალუტო კურის ცვლილების დინამიკა | (9) | (10) |
| **31 დეკემბერი** | **3,206** | **4,302** |

## 17. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 1 იანვარი |
|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულება | 5,965 | 6,179 | 505 |
| დასაქმებულთა ანაზღაურების დარიცხვები | 1,385 | 904 | 892 |
| კრედიტორები | 554 | 447 | 426 |
| საკომისიო ვალდებულებები | 120 | 1 | – |
| სხვა | 130 | 53 | 72 |
| **სხვა ვალდებულებები** | **8,154** | **7,584** | **1,895** |

მოძრაობა საიჯარო ვალდებულებებში იყო შემდეგი:

| | შენობა-ნაგებობები |
|---|---|
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **6,179** |
| შესყიდვა | 275 |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე | 326 |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | (670) |
| სავალუტო კურის ცვლილების დინამიკა | (145) |
| **2023 წლის 31 დეკემბერი** | **5,965** |

*(ათას ლარში)*

## 17. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

| | შენობა-ნაგებობები |
|---|---|
| **2022 წლის 1 იანვარი** | **505** |
| შესყიდვა | 6,748 |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე | 261 |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | (668) |
| სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა | (667) |
| **2022 წლის 31 დეკემბერი** | **6,179** |

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ მესამე მხარესთან გააფორმა ახალი საიჯარო ხელშეკრულებები საოფისე შენობაზე. იჯარის ვადა ხუთ წლამდეა, ხოლო საიჯარო გადახდები ლარში და აშშ დოლარშია გამოხატული.

## 18. პირობითი ვალდებულებები

### იურიდიული

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას.

2015 წლის 16 აპრილს „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“-ის ყოფილი აქციონერებიდან ზოგიერთმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“, „სადაზღვევო კომპანია იმედი ლ“-ის და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ წინააღმდეგ, რომელთაგან ყველა „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ სამართალმემკვიდრეა. 2014 წელს გაფორმებული ბიზნესის გაყოფის ხელშეკრულების თანახმად, „სადაზღვევო კომპანია ალდაგის“ (ყოფილი „ალდაგი BCI“) ბიზნესი და აქტივები და ვალდებულებები სამ საწარმოზე განაწილდა: „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-მა მიიღო სამედიცინო და სამოგზაურო დაზღვევის ბიზნესი, „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ მიიღო ჯანდაცვის მომსახურების ბიზნესი, ხოლო „სამედიცინო კომპანია ალდაგი“ აგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ქონების, უბედური შემთხვევების და საპენსიო დაზღვევის ბიზნესი. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელეთა მიერ ფლობილი აქციების 66.0% კომპანიის სააქციო კაპიტალში 2012 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი BCI“-ზე გაიყიდა იძულების წესით საბაზროზე დაბალი ღირებულებით და მოთხოვნილი ზარალის ანაზღაურება შეადგენს 17 მილიონ აშშ დოლარს, რასაც ემატება მოთხოვნილი თანხის წლიური 10% დაკარგული შემოსავლის სახით. 2022 წლის ივლისში თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეების სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, სოლიდარულად 12.7 მილიონი აშშ დოლარის და გამოუმუშავებელი შემოსავლის ანაზღაურების სახით 5%-ის ოდენობით (სულ 20.1 მილიონი აშშ დოლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). 2022 წლის სექტემბერში კომპანიამ ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამრთლოში გაასაჩივრა.

ამ თარიღის შემდეგ სასამართლო დავის სტატუსი არსებითად არ შეცვლილა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელში აღწერილი ფაქტები არ არის გამყარებული რელევანტური მტკიცებულებით. არანაირი სამართალდარღვევა ან უკანონო ქმედების ჩადენა არ მტკიცდება. სარჩელი წარმოდგენილია მხოლოდ განცხადებების სახით და არ არსებობს ასეთი ქმედებების მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. ამრიგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს აღიარებული ანარიცხი ამ სასამართლო დავასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობა გონივრულ ფარგლებში მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული იურიდიული სარჩელებისა და პრეტენზიების გათვალისწინება ხდება გაწეული მოთხოვნების შესაბამისი ვალდებულების შეფასებისას.

*(ათას ლარში)*

## 18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

### გადასახადებით დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ გარიგებებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობების ინტერპრეტაციები შეიძლება ეჭქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და ფედერალურმა ორგანოებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ - შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკისრებულ სხვადასხვა გადასახადთან დაკავშირებით რამდენიმე კანონი მოქმედებს. მათ შორისაა დამატებული ღირებულების, საშემოსავლო (მოგებიდან გადასახადი) და სხვა გადასახადები. სხვა უფრო განვითარებული ეკონომიკური ბაზრებისგან განსხვავებით ამ გადასახადების შესახებ კანონები დიდი ხანი არაა, რაც მოქმედებს. ამიტომ ნორმატიული აქტები ხშირად ბუნდოვანია ან საერთოდ არ მოიძებნება, ან არასაკმარისი პრეცედენტი არსებობს. ეს წარმოშობს საგადასახადო რისკებს საქართველოში, რომლებიც ჩვეულებრივ გაცილებით მაღალია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ. კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის არსებული და სამომავლო კანონმდებლობისა და საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება და ინტერპრეტაცია. მსგავს მოვლენებსა და მათ შედეგებს შეიძლება გადამწყვეტი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში.

## 19. ინვესტიციის შედეგი

ინვესტიციის შედეგი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | *2023* | *2022 (გადაანგარიშებული*)* |
|---|---|---|
| **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განგარიშებული საპროცენტო ამონაგები** | | |
| საბანკო ანაბრები | 2,976 | 2,562 |
| გაცემული სესხი | – | 86 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 531 | 344 |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 844 | 763 |
| **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი** | **4,351** | **3,755** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | (54) | 24 |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების შემოსულობა/(ზარალი) | 7 | 42 |
| საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა შემოსულობა/(ხარჯი) | 143 | 688 |
| **ინვესტიციის შედეგი** | **4,447** | **4,509** |

*(ათას ლარში)*

## 20. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| საპროცენტო ხარჯი | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ადგილობრივი სესხის გამცემებისგან ნასესხები სახსრები | (550) | (587) |
| საპროცენტო ხარჯი იჯარაზე | (326) | (261) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **(876)** | **(848)** |

## 21. სხვა შემოსავალი და ხარჯი

სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა | 84 | 6 |
| სხვა ხარჯი | (33) | (31) |
| **სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი** | **51** | **(25)** |

## 22. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ხელფასები | (5,998) | (5,078) |
| აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება | (260) | (391) |
| სადაზღვევო და სხვა სარგებლები | (218) | (200) |
| **ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები** | **(6,476)** | **(5,669)** |

## 23. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| მარკეტინგი და რეკლამა | (417) | (351) |
| წარმომადგენლობითი | (257) | (212) |
| პერსონალის გადამზადება | (244) | (368) |
| კომუნალური მომსახურებები | (231) | (288) |
| იურიდიული და საკონსულტაციო | (221) | (262) |
| კომუნიკაციები | (166) | (187) |
| საოფისე ინვენტარი | (139) | (174) |
| ბეჭდვითი მომსახურებები | (62) | (66) |
| ქველმოქმედება | (56) | (57) |
| დაცვა | (48) | (37) |
| იჯარა და ქირა | (46) | (43) |
| მივლინება და დაკავშირებული ხარჯები | (29) | (86) |
| საოპერაციო გადასახადები | (15) | (57) |
| ბანკის საფასურები და საკომისიოები | (9) | (67) |
| სხვა | (83) | (84) |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **(2,023)** | **(2,339)** |

*(ათას ლარში)*

## 23. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

იურიდიულ და საკონსულტაციო ხარჯებში შესულია კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის 128 ლარის ოდენობით (დღგ-ის გამოკლებით) (2022 წ.: 64 ლარი, დღგ-ის გამოკლებით).

## 24. გაუფასურების ხარჯი

2023 წლისა და 2022 წლის გაუფასურების ხარჯი მოიცავს მხოლოდ წმინდა გაუფასურების ხარჯს სადაზღვევო ხელშეკრულებებზე (მე-9 შენიშვნა)

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობისთვის სხვადასხვა რისკია დამახასიათებელი. შესაბამისად, რისკის მართვა სადაზღვევო საქმიანობის კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს. კომპანიის საქმიანობებისთვის რისკებია დამახასიათებელი რომელთა მართვაც ხდება მიმდინარე იდენტიფიცირების, შეფასებისა და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესით, რისკის ლიმიტების და სხვა კონტროლების გათვალისწინებით. თითოეული ფიზიკური პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია თავის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო საქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

### მართვის სისტემა

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს მის მიერ საქმიანობის შედეგების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს და მართავს რისკებს, დავალებების გაცემის, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების და რისკის მართვის პოლიტიკის და შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის, ასევე მათ შესრულებას და შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობის შედეგებს.

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა რეგულარულად იკრიბება ამგვარ პოლიტიკებში კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების გასათვალისწინებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკების იდენტიფიკაციას და განმარტებას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების სათანადო ხარისხი და დივერსიფიკაცია, ანდერრაიტინგის და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კომპანიის მიზნებთან და ანგარიშგების მოთხოვნების დაზუსტება.

### კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის ფუნქციონირებს. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტებით მოთხოვნილია, რომ სადაზღვევო კომპანია უნდა ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს მისი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის სულ მცირე 75%-ის ოდენობით, მთლიანი სადაზღვევო პრემიის მოთხოვნების და მისი ზარალის რეზერვების 100%-ის გამოკლებით. ლიკვიდურ აქტივებში შემავალი აქტივებია: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება, ასევე სხვა ფინანსური აქტივები, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული ფორმით. მსგავსი ლიკვიდური აქტივების მინიმალურ რაოდენობას ეწოდება „სავალდებულო რეზერვი“.

სავალდებულო რეზერვის მოთხოვნა „იმედი ელ“-სთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდური აქტივების მინიმალურ რაოდენობას 19,960 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს: 18,218 ლარი) უდრის. სადაზღვევო კომპანია სრულად შესაბამისობაშია ამ მოთხოვნასთან მთლიანი უფლებამოსილი ლიკვიდური აქტივების ფაქტობრივი 22,867 ლარის (2022 წლის 31 დეკემბერს: 19,556 ლარი) ფლობით.

### სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, ამავდროულად განუსაზღვრელი იქნება შედეგად მიღებული მოთხოვნის თანხის და ვადების რაოდენობა. ასეთი ხელშეკრულებებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნების შემდგომი ცვლილება.

კომპანია უპირატესად იყენებს თავისი ზარალიანობის კოეფიციენტს და კომბინირებულ მაჩვენებელს თავისი სადაზღვევო რისკის მონიტორინგისთვის. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო ამონაგებთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან.

კომპანიის ზარალიანობის და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ზარალიანობის კოეფიციენტი | 82.32% | 85.77% | 84.05% |
| ხარჯების კოეფიციენტი | 11.87% | 13.44% | 12.20% |
| კომბინირებული კოეფიციენტი | 94.19% | 99.21% | 96.25% |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ზარალის დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებების კონცენტრაცია ხელშეკრულების ტიპების მიხედვით.

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული) | 2022 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული) |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაზღვევა | 12,967 | 14,559 | 14,546 |
| სიცოცხლის დაზღვევა | 4,004 | 1,786 | 1,579 |
| სამოგზაურო დაზღვევა | 40 | 101 | 221 |
| უბედური შემთხვევა | 109 | 100 | 129 |
| | **17,120** | **16,546** | **16,475** |

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი

#### (1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებით 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებულია შესაბამისია და მუდმივად კონტროლირდება საკრედიტო ხარისხის ნებისმიერი პოტენციური ნეგატიური ცვლილების გამოვლენის მიზნით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკის ზომის შესახებ, არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირების გზით, „A.M. Best“ , „Moody's“, „S&P Global“ და „ფიტჩის“ სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული გარე რეიტინგების მიხედვით.

| *2023 წლის 31 დეკემბერი* | *შენიშვნა* | *სტადია* | *AAA* | *BB* | *BB–* | *B+* | *რეიტინგის გარეშე* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბანკო ანაბრები | 6 | 1-ლი სტადია | – | 5,627 | 1,327 | 9,755 | 9,336 | **26,045** |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები | 7 | 1-ლი სტადია | – | 202 | 2,099 | – | 784 | **3,085** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 8 | n/a | 1,299 | 497 | – | – | – | **1,796** |
| სულ | | | **1,299** | **6,326** | **3,426** | **9,755** | **10,120** | **30,926** |

| *2022 წლის 31 დეკემბერი* | *შენიშვნა* | *სტადია* | *AAA* | *BB* | *BB–* | *B+* | *რეიტინგის გარეშე* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბანკო ანაბრები | 6 | 1-ლი სტადია | – | 2,945 | 515 | 6,909 | 9,458 | **19,827** |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები | 7 | 1-ლი სტადია | – | – | 7,030 | – | – | **7,030** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 8 | n/a | – | 501 | – | – | – | **501** |
| სულ | | | **–** | **3,446** | **7,545** | **6,909** | **9,458** | **27,358** |

#### 2. ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავის კაპიტალთან ერთად იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ნაკადების და ლიკვიდობის საჭიროებების ყოველდღიურ მონიტორინგს.

კომპანია მართავს თავისი აქტივების და ვალდებულებების დაფარვის ვადებს უკეთესი შესაბამისობისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდობის რისკის დამატებით შემსუბუქებაში. კომპანიის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი ლიკვიდობის რისკებია ყოველდღიური მოთხოვნები მის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე მომწოდებლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და ნასესხები სახსრების ვადიანობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, საანგარიშგებო თარიღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

| 2023 წლის 31 დეკემბერი | ერთი წლის განმავლობაში | ერთ წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 4,173 | – | **4,173** |
| საინვესტიციო აქტივები | 27,261 | 1,805 | **29,066** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 3,102 | – | **3,102** |
| სხვა აქტივები | 3,083 | – | **3,083** |
| **სულ აქტივები** | **37,619** | **1,805** | **39,424** |
| **ვალდებულებები** | | | |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 17,120 | – | **17,120** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 1,331 | – | **1,331** |
| ნასესხები სახსრები | 3,206 | – | **3,206** |
| სხვა ვალდებულებები | 3,269 | 4,885 | **8,154** |
| **სულ ვალდებულებები** | **24,926** | **4,885** | **29,811** |
| **წმინდა პოზიცია** | **12,693** | **(3,080)** | **9,613** |
| **დაგროვილი გეპი** | **12,693** | **9,613** | |

| 2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული) | ერთი წლის განმავლობაში | ერთ წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5,659 | – | **5,659** |
| საინვესტიციო აქტივები | 19,931 | 6,855 | **26,786** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 1,418 | – | **1,418** |
| სხვა აქტივები | 3,814 | – | **3,814** |
| **სულ აქტივები** | **30,822** | **6,855** | **37,677** |
| **ვალდებულებები** | | | |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 16,546 | – | **16,546** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 455 | – | **455** |
| ნასესხები სახსრები | 4,302 | – | **4,302** |
| სხვა ვალდებულებები | 2,552 | 5,032 | **7,584** |
| **სულ ვალდებულებები** | **23,855** | **5,032** | **28,887** |
| **წმინდა პოზიცია** | **6,967** | **1,823** | **8,790** |
| **დაგროვილი გეპი** | **6,967** | **8,790** | |

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

| 2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული) | ერთი წლის განმავლობაში | ერთ წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 3,499 | – | **3,499** |
| საინვესტიციო აქტივები | 11,068 | 15,886 | **26,954** |
| გაცემული სესხები | 1,412 | – | **1,412** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 1,719 | – | **1,719** |
| სხვა აქტივები | 2,207 | – | **2,207** |
| **სულ აქტივები** | **19,905** | **15,886** | **35,791** |
| **ვალდებულებები** | | | |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 16,475 | – | **16,475** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 110 | – | **110** |
| ნასესხები სახსრები | 4,469 | – | **4,469** |
| სხვა ვალდებულებები | 1,473 | 422 | **1,895** |
| **სულ ვალდებულებები** | **22,527** | **422** | **22,949** |
| **წმინდა პოზიცია** | **(2,622)** | **15,464** | **12,842** |
| **დაგროვილი გეპი** | **(2,622)** | **12,842** | |

სადაზღვევო ვალდებულებების ოდენობა და ვადა განისაზღვრება სტატისტიკურ მეთოდებსა და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებისა და განსჯის შედეგად. ხელმძღვანელობის აზრით კომპანიას საკმარისი ლიკვიდურობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ვალდებულებების დროულად დასაფარად.

კომპანია ასევე ახდენს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის შედარებას და აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს ნეგატიურ შედეგებზე.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც შეტყობინებას საჭიროებენ, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება სასწრაფო წესით იყოს გაცემული.

| 2023 წლის 31 დეკემბერი | 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ნასესხები სახსრები | 360 | 2,936 | – | – | 3,296 |
| საიჯარო ვალდებულებები | 334 | 751 | 3,376 | 1,824 | 6,285 |
| **სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **694** | **3,687** | **3,376** | **1,824** | **9,581** |

| 2022 წლის 31 დეკემბერი | 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| ნასესხები სახსრები | 361 | 4,432 | – | – | 4,793 |
| საიჯარო ვალდებულებები | 316 | 888 | 3,591 | 2,489 | 7,284 |
| **სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები** | **677** | **5,320** | **3,591** | **2,489** | **12,077** |

*(ათას ლარში)*

# 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

## ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### (3) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

საბაზრო რისკი კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკია. საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტებისთვის ან მისი ემიტენტისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორით.

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე.

31 დეკემბრის მდგომარეობით ეფექტური საშუალო საპროცენტო განაკვეთი ვალუტების მიხედვით, პროცენტიანი ფულადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ასეთი იყო:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | | 2022 წლის 31 დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი | აშშ დოლარი | ლარი | აშშ დოლარი |
| საბანკო ანაბრები | 13.08% | 4.79% | 13.43% | 3.92% |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 13.72% | 8.50% | 14.11% | 6.13% |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | – | 6.44% | – | 8.89% |
| ნასესხები სახსრები | 11.52% | 6.00% | 13.00% | – |

კომპანიას აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი ნასესხებ სახსრებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებზე, რომლებიც უკავშირდება რეფინანსირების განაკვეთებს და თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი (TIBR-ს), და შესაბამისად გასწევს საპროცენტო განაკვეთის რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს მგრძნობელობას გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებაზე:

| 2023 წლის 31 დეკემბერი | კატეგორია | საბაზისო ერთეულის ზრდა | საპროცენტო ხარჯის და შემოსავლის მგრძნობელობა |
|---|---|---|---|
| რეფინანსირების განაკვეთი | | | |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1.00% | 4 |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | –1.00% | (4) |
| | ნასესხები სახსრები | 1.00% | (3) |
| | ნასესხები სახსრები | –1.00% | 3 |
| TIBR | | | |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1.00% | 10 |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | –1.00% | (10) |

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

| 2022 წლის 31 დეკემბერი | კატეგორია | საბაზისო ერთეულის ზრდა | საპროცენტო ხარჯის მგრძნობელობა |
|---|---|---|---|
| რეფინანსირების განაკვეთი | | | |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1.00% | 53 |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | –1.00% | (53) |
| | ნასესხები სახსრები | 1.00% | (42) |
| | ნასესხები სახსრები | –1.00% | 42 |
| TIBR | | | |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1.00% | 3 |
| | ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | –1.00% | (3) |

*სავალუტო რისკი*

| 2023 წლის 31 დეკემბერი | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 4,090 | 59 | 24 | **4,173** |
| საბანკო ანაბრები | 21,283 | 4,711 | – | **25,994** |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1,416 | 1,656 | – | **3,072** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | – | 1,796 | – | **1,796** |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 2,978 | 124 | – | **3,102** |
| **სულ აქტივები** | **29,767** | **8,346** | **24** | **38,137** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 16,913 | 188 | 19 | **17,120** |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 1,331 | – | – | **1,331** |
| ნასესხები სახსრები | 362 | 2,844 | – | **3,206** |
| სხვა ვალდებულებები | 2,244 | 5,910 | – | **8,154** |
| **სულ ვალდებულებები** | **20,850** | **8,942** | **19** | **29,811** |
| **წარმოებული ინსტრუმენტები** | **4,457** | **(2,923)** | – | **1,534** |
| **წმინდა პოზიცია** | **13,374** | **(3,519)** | **5** | **9,860** |
| **საპროცენტო განაკვეთის ზრდა, %** | | 15% | 15% | |
| **ეფექტი მოგებაზე** | | (527.9) | 0.8 | |
| **საპროცენტო განაკვეთის შემცირება, %** | | –15% | –15% | |
| **ეფექტი მოგებაზე** | | **527.9** | **(0.8)** | |

*(ათას ლარში)*

## 25. რისკის და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გაფორმებული აქვს აშშ დოლარში გამოხატული სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან მთლიანი პირობითი თანხით 1,000 ათასი აშშ დოლარი. ფორვარდული ხელშეკრულება შესულია მოგებაზე სავალუტო განაკვეთის ცვლილების ეფექტის ზემოთ მოცემულ კალკულაციებში.

| 2022 წლის 31 დეკემბერი | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5,433 | 192 | 34 | 5,659 |
| საბანკო ანაბრები | 13,914 | 5,871 | – | 19,785 |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 5,700 | 1,301 | – | 7,001 |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | – | 501 | – | 501 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 1,341 | 77 | – | 1,418 |
| **სულ აქტივები** | **26,388** | **7,942** | **34** | **34,364** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 16,167 | 292 | 87 | 16,546 |
| გადაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | 455 | – | – | 455 |
| ნასესხები სახსრები | 4,302 | – | – | 4,302 |
| სხვა ვალდებულებები | 7,491 | 93 | – | 7,584 |
| **სულ ვალდებულებები** | **28,415** | **385** | **87** | **28,887** |
| **წარმოებული ინსტრუმენტები** | **10,019** | **(7,594)** | – | 2,425 |
| **წმინდა პოზიცია** | **7,992** | **(37)** | **(53)** | **7,902** |
| **საპროცენტო განაკვეთის ზრდა, %** | | 15% | 15% | |
| **ეფექტი მოგებაზე** | | (5.6) | (8.0) | |
| **საპროცენტო განაკვეთის შემცირება, %** | | –15% | –15% | |
| **ეფექტი მოგებაზე** | | **5.6** | **8.0** | |

## 26. სამართლიანი ღირებულების შეფასება

### სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის მიხედვით. კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და გამჟღავნებისთვის:

- დონე 1: იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2: ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3: ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების და ვალდებულებების ან ისეთი აქტივების და ვალდებულებების ანალიზი, რომელთა სამართლიანი ღირებულება

*(ათას ლარში)*

## 26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით:

| | *1-ლი დონე* | *მე-2 დონე* | *მე-3 დონე* | *სულ 2023* |
|---|---|---|---|---|
| **სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები** | | | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | – | 3,074 | – | **3,074** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 1,796 | – | – | **1,796** |
| წარმოებული ინსტრუმენტები | – | 1,534 | – | **1,534** |
| **აქტივები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 4,173 | – | – | **4,173** |
| საბანკო ანაბრები | – | 25,994 | – | **25,994** |
| საინვესტიციო ქონება | – | 9,313 | – | **9,313** |
| **ვალდებულებები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის** | | | | |
| ნასესხები სახსრები | – | 3,206 | – | **3,206** |

| | *1-ლი დონე* | *მე-2 დონე* | *მე-3 დონე* | *სულ 2022* |
|---|---|---|---|---|
| **სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები** | | | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | – | 7,003 | – | **7,003** |
| სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით | 501 | – | – | **501** |
| წარმოებული ინსტრუმენტები | – | 2,425 | – | **2,425** |
| **აქტივები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის** | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5,659 | – | – | **5,659** |
| საბანკო ანაბრები | – | 19,785 | – | **19,785** |
| საინვესტიციო ქონება | – | 9,352 | – | **9,352** |
| **ვალდებულებები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის** | | | | |
| ნასესხები სახსრები | – | 4,302 | – | **4,302** |

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრების აღწერა. ეს მოიცავს იმ დაშვებების კომპანიისეულ შეფასებას, რომლებსაც გააკეთებს ბაზრის მონაწილე ინსტრუმენტების შეფასებისას.

*(ათას ლარში)*

## 26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

*ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები*

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები ფასდება შეფასების მეთოდის ან შეფასების მოდელის გამოყენებით, რომელიც არაკოტირებულ სავალო ფასიან ქაღალდებს მოიცავს. ეს ფასიანი ქაღალდები ფასდება იმ მოდელების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს ბაზარზე არსებულ ემპირიულ მონაცემებს - ინსტრუმენტის ვადიანობის შესაბამისი საბაზრო განაკვეთები, ვალუტა და ემიტენტის საკრედიტო რისკი.

*საინვესტიციო ქონება*

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონკრეტული ამოსავალი მონაცემების მიხედვით იყოფა, რომლებიც არ ეფუძნება ბაზრის ემპირიულ მონაცემებს. აქტივების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო მიდგომის ან დანახარჯების მიდგომის გამოყენებით. საბაზრო მიდგომა იყენებს ფასებს და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც გენერირდება ბაზარზე მიმდინარე ოპერაციებით და მოიცავს მსგავს ან შესადარის მიწას და შენობა-ნაგებობებს, შესაბამისად. დანახარჯების მიდგომა ასახავს იმ თანხებს, რომლებიც შესაძლოა მოთხოვნილი იყო აქტივის მომსახურების მასშტაბის ჩასანაცვლებლად.

*წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*

წარმოებული ინსტრუმენტები წარმოდგენილია უცხოური ვალუტის ფორვარდებით. სამართლიანი ღირებულება ფასდება შეფასების მოდელების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასები და სხვა ფაქტორები. წარმოებული ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალები შესულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის მუხლში.

### აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ასევე ვრცელდება ცვლადგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

### ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება პირველი აღიარებისას არსებული ბაზრის საბაზრო განაკვეთების მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შემოთავაზებულ მიმდინარე საბაზრო განაკვეთებთან შედარების გზით.

## 27. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის (*„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“*) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებს შორის.

*(ათას ლარში)*

## 27. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, დაუფარავი ნაშთები წლის ბოლოს და დაკავშირებული ხარჯების და შემოსავალი პერიოდის განმავლობაში შემდეგია:

| | 2023 წლის 31 დეკემბერი | |
|---|---|---|
| | მშობელი საწარმო | საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ი საწარმო |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1,386 | 407 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 147 | 27 |
| სხვა აქტივები | – | 1,534 |
| **სულ აქტივები** | **1,533** | **1,968** |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | – | 9,581 |
| სხვა ვალდებულებები | 22 | 109 |
| **სულ ვალდებულებები** | **22** | **9,690** |
| **შემოსავალი და ხარჯები** | | |
| სადაზღვევო ამონაგები | 8 | 1,685 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | – | (18,368) |
| საპროცენტო შემოსავალი | 95 | 496 |
| ხარჯი წარმოებული ინსტრუმენტებიდან | – | (892) |
| **სულ შემოსავალი და ხარჯები** | **103** | **(17,079)** |

| | 2022 წლის 31 დეკემბერი | |
|---|---|---|
| | მშობელი საწარმო | საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ი საწარმო |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული სავალო ინსტრუმენტები | 1,308 | 5,415 |
| სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივები | 134 | 25 |
| სხვა აქტივები | – | 2,596 |
| **სულ აქტივები** | **1,442** | **8,036** |
| დაზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებები | – | 8,037 |
| სხვა ვალდებულებები | 22 | 116 |
| **სულ ვალდებულებები** | **22** | **8,153** |
| **შემოსავალი და ხარჯები** | | |
| სადაზღვევო ამონაგები | 30 | 1,498 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | – | (17,486) |
| საპროცენტო შემოსავალი | 26 | 85 |
| ხარჯი წარმოებული ინსტრუმენტებიდან | – | 1,758 |
| **სულ შემოსავალი და ხარჯები** | **56** | **(14,145)** |

დაკავშირებული მხარეების მიერ გამოშვებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მესამე მხარეებისგან შეძენილია საბაზრო პირობებით. სადაზღვევო ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარეებთან ჩვეულებრივ ერთ წლამდე ვადით ფორმდება. ზარალის ანაზღაურება ჩვეულებრივ 90 დღის ვადაში ხდება.

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს შემდეგს:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ხელფასები და ფულადი პრემიები | 748 | 752 |
| აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება | 260 | 391 |
| **სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება** | **1,008** | **1,143** |

*(ათას ლარში)*

## 28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის ივლისსა და აგვისტოში კომპანიის შუალედურმა მშობელმა კომპანიამ სს "საქართველოს კაპიტალმა (საწარმო, რომელიც ფლობს მაკონტროლებელ წილს კომპანიის უშუალო მშობელ საწარმოში სს :საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი") დაიკონსოლიდირა ყველა სადაზღვევო კომპანია ერთი ჰოლდინგური კომპანიის სს „ა გრუფი“ ქვეშ. შედეგად კომპანია, სს „საქართველოს კაპიტალის“ კონტროლს ქვეშ მყოფ სხვა სადაზღვევო ორგანიზაციებთან (სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ და სს „სადაზღვევო კომპანია არდი“) ერთად გახდა ერთი მშობელი საწარმოს - სს „ა გრუფი“ პირდაპირ ფლობილი და კონტროლირებადი საწარმო. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აკონტროლებდა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“. უშუალო მაკონტროლებელი მფლობელის ცვლილებას არ გამოუწვევია კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ცვლილება.

2024 წელს 805 ლარის დივიდენდები გამოცხადდა და სრულად იქნა გადახდილი. ერთ აქციაზე დივიდენდებმა (DPS) 0,11 ლარი შეადგინა (არ არის მოცემული ათას ლარში).

2024 წელს კომპანიამ გაანაწილა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,313 ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე საინვესტიციო ქონება თავის მშობელ საწარმოზე, სააქციო კაპიტალის შემცირების სანაცვლოდ ნომინალური ღირებულებით 725 ლარი, 725 ცალი A კლასის აქციის გაუქმების გზით.

# სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“

2023 წლის მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა ........ 1
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება ........ 5
3. არაფინანსური ანგარიშგება ........ 6

# 1. საქმიანობის მიმოხილვა

## შესავალი

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელი“ წარმოადგენს ლიდერ სადაზღვევო კომპანიას, რომელიც მომხმარებელს ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს.

- 1990 წელს პირველი სადაზღვევო კომპანია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, ხოლო
- 1998 წელს სს "ბისიაი" დაარსდა.
- 2004 წელს „ბისიაი“ -ს აქციათა 100% შესყიდულ იქნა სს „საქართველოს ბანკის“ მიერ.
- 2005 წელს ორივე კომპანიამ მნიშვნელოვანი შესყიდვა განახორციელა: „ალდაგმა“ შემოიერთა სადაზღვევო კომპანია „სელბი“, ხოლო „ბისიაი“-მ სადაზღვევო კომპანია „ევროპეისი“.
- 2006 წლის ბოლოს "ალდაგი"-ს აქციების 100% სადაზღვევო კომპანია "ბისიაი"-მ შეიძინა. მათი გაერთიანების შედეგად, წარმოიქმნა უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში უპირობო ლიდერ პოზიციას ინარჩუნებდა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე.
- 2011 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ შეისყიდა სადაზღვევო კომპანია შპს „პარტნიორის“

სადაზღვევო პორტფელი.

- 2012 შეისყიდა სადაზღვევო კომპანია სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი ელ ინტერნეიშენალ“.
- 2014 წელს განხორციელდა სს სადაზღვევო კომპანი ალდაგის რეორგანიზაცია, კერძოდ, გაყოფა (გამოყოფის გზით), რის შედეგადაც, არსებული სადაზღვევო კომპანიიდან მოხდა ორი საწარმოს გამოყოფა და აღნიშნულის საფუძველზე ფუნქციონირებს სამი კომპანია, კერძოდ:
    1. არსებული სადაზღვევო კომპანია, შეცვლილი სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“, რომლის საქმიანობაც არის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ასევე, სამოგზაურო დაზღვევა(რომელმაც შეინარჩუნა გაყოფამდე არსებული საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი, კერძოდ: 204919008);
    2. გამოყოფის შედეგად წარმოშობილი სადაზღვევო კომპანია, სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ყველა სახის დაზღვევა (მათ შორის, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა), გარდა ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევისა, ასევე საბანკო გარანტიებით მომსახურება და რომლის საიდენტიფიკაციო კოდია: 404476189;
    3. გამოყოფის შედეგად წარმოქმნილი კომპანია, სახელწოდებით: სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, რომლის საქმიანობა არის ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობა და რომელსაც გადაეცა ყველა ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც გაყოფამდე არსებული საწარმოს პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში გახლდათ

## ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, მენეჯმენტი არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

## ზოგადი ინფორმაცია

- თანამშრომლები - 520 - მდე თანამშრომელი
- ოფისები თბილისში - 2
- რეგიონალური წარმომადგენლობა -7
- გაყიდვების ცენტრები - 3
- ანაზღაურების პუნქტები - 3

## ოფისები

**თბილისი, ცენტრალური ოფისი**
ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. #9
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

**თბილისი, სერვის კლუბი**
ალ. ყაზბეგის გამზირი #44
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

**ბათუმი, გაყიდვების ცენტრი**
ფარნავაზ მეფის #121
T +995 32 2922 222 / info@imediL.ge

**ქუთაისი, მომსახურების ცენტრი**
ა. პუშკინის ქ. #8
T (0431) 252738 / info@imediL.ge

**ზუგდიდი, წარმომადგენლობა**
კოსტავას ქ. #1
info@imediL.ge

**გორი, წარმომადგენლობა**
ცხინვალის გზატკეცილი #14
info@imediL.ge

**თელავი, წარმომადგენლობა**
არსებუშვილის ქ. #15 ([illegible] კლინიკა)
T (0350) 270788 / info@imediL.ge

**ახალციხე, წარმომადგენლობა**
რუსთაველის ქ. #105ა
T (0365) 222258 / info@imediL.ge

**რუსთავი, წარმომადგენლობა**
ვ. მესხიშვილის ქ. #1,
მე-2 სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი
info@imediL.ge

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

| სადაზღვევო შემოსავალი | წმინდა მოგება | უკუგება საშუალო კაპიტალზე |
|---|---|---|
| **92,401 მლნ ლარი** | **7,086 მლნ ლარი** | **19.45%** |
| + 21.8% YoY | + 95.5% YoY | +8.76 pp YoY |

| ზარალიანობის კოეფიციენტი | კომბინირებული კოეფიციენტი |
|---|---|
| **82.32%** | **94.19%** |
| -3.44 pp YoY | -5.01 pp YoY |

## ფინანსური შედეგების მიმოხილვა

მოგება ზარალის ანგარიშგების ძირითადი მუხლები:

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| სადაზღვევო შემოსავალი | 92,401 | 75,861 |
| სადაზღვევო მომსახურების ხარჯი | (75,418) | (64,314) |
| სადაზღვევო მომსახურების შედეგი | 16,294 | 10,789 |
| საინვესტიციო შემოსავალი | 4,447 | 4,509 |
| წმინდა მოგება | 7,086 | 3,624 |

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი მუხლები:

| | 31 დეკემბერი, 2023 | 31 დეკემბერი, 2022 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები | 3,102 | 1,418 |
| საინვესტიციო აქტივები | 30,862 | 27,287 |
| ძირითადი საშუალებები | 11,727 | 10,225 |
| **სულ აქტივები** | **68,054** | **64,205** |
| **ვალდებულებები** | | |
| სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები | 17,120 | 16,546 |
| ვალდებულებები გადამზღვევლის მიმართ | 1,331 | 455 |
| ნასესხები სახსრები | 3,206 | 4,302 |
| **სულ ვალდებულებები** | **30,526** | **28,887** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **37,528** | **35,318** |

ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრის მიმოხილვა









**ბიზნესის სტრუქტურა**

კომპანიის მომსახურების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თითოეული მომხმარებლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ მაღალი ხარისხის, მომხმარებელზე მორგებული პროდუქტები, რაც უფრო კონკურენტულს ხდის კომპანიის საქმიანობას.

სადაზღვევო კომპანია იმედი ელი ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს კორპორატიულ და საცალო კლიენტებს.

სწორედ ჯანმრთელობის მაღალხარისხიანი სერვისების შეთავაზების მიზნით შევქმენით პროდუქტების რამდენიმე ხაზი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს დაზღვეულს გამარტივებული პროცედურების გავლით მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ფართო სერვისები.

**საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წმინდა მოგება შეადგენდა 7,086 ათას ლარს, რაც წინა წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 95.5% ით.

გასულ წელს თუ შევაჯამებთ , ჩვენი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები იყო :

- დაზღვეულთა რაოდენობის გაზრდა მათ საჭიროებებზე უკეთ მორგებული პროდუქტების შეთავაზებით.
- ციფრული და სხვა დისტანციური მომსახურებების განვითარება და დახვეწა.

**ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

ეს საკითხი განხილულია ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

## 2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

**მმართველობითი ორგანო**

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიის აღმასრულებელი მენეჯმენტი მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს რისკებს რეგულარულად ამოცანების შეფასებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნით და რისკის კონტროლის როგორც პოლიტიკის, ასევე სახელმძღვანელოების შექმნით და მათი განხორციელების პროცესის კონტროლითა და შესაბამისი დეპარტამენტების შესრულებით.

აღმასრულებელი საბჭო იკრიბება რეგულარულად, რათა დაამტკიცოს თითოეული რეკლამა, რეგულაცია და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნილებები მსგავსი პოლიტიკით. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, სტრუქტურის ლიმიტირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ხარისხის და აქტივების დივერსიფიკაცია, კორპორაციული მიზნების მიღწევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას და დააზუსტოს ანგარიშების მოთხოვნები.

## 3. არაფინანსური ანგარიშგება

### ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

### დასაქმების საკითხები

ადამიანური კაპიტალი

კომპანია იაზრებს რომ ორგანიზაციის წარმატებაში ძირითადი და მნიშვნელოვანი სწორედ ადამიანური კაპიტალია, შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვა კორპორაციული წარმატების, კონკურენტუნარიანი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზების წინაპირობას ქმნის.

ორგანიზაციის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მართვასთან, შესაბამისად კომპანია მუდმივად ცდილობს განავითაროს ადამიანური რესურსების პოლიტიკა, პერსონალის შერჩევის, კომპენსაციისა და ბენეფიტების, პერსონალის განვითარების, ქცევის კოდექსის და ადამიანური უფლებების დაცვის მიმართულებით.

თანამშრომლების სამუშაო რეჟიმები, უფლება-მოვალეობები და შრომის პირობები დეტალურად განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებითა და სამუშაო აღწერილობით.

ტალანტების მოზიდვა

პერსონალის მოზიდვისა და მისი შენარჩუნების სტრატეგია გამომდინარეობს კომპანიის სპეციფიკიდან. კომპანია ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიცირებული კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე. ორგანიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდის ახალი წევრის შერჩევასა და შესაბამისი კომპეტენციისა და უნარების მქონე თანამშრომლებით გუნდის შექმნას.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანების განხორციელებისა და სამუშაო პროცესების ეფექტიანად მართვის მიზნით, კომპანიაში განისაზღვრება ადამიანური რესურსის საჭირო რაოდენობა, ცოდნისა და კომპეტენციების მახასიათებლები, რომლის საფუძველზე იგეგმება ადამიანური რესურსი.

პერსონალის მოზიდვის ფორმებია შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდვა.

კანდიდატების შერჩევის პროცესს წარმართავს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, შერჩევის პროცესში ჩართულია მიმართულების ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და დარგის პროფესიონალი (საჭიროების შემთხვევაში). შერჩევის ასეთი პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

კომპანია ახორციელებს კანდიდატურების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და ორგანიზაციაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ახალი თანამშრომელი ინიშნება საგამოცდო ვადით. უშუალო ხელმძღვანელის მხარდაჭერით გადის ადაპტაციის პერიოდს, ეცნობა ორგანიზაციის კულტურასა და სამუშაო პროცესს.

ტრენინგი და განვითარება

ადამიანური რესურსის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება კომპანიის მიზნებისა და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კომპანია მუდმივად ცდილობს საუკეთესო თანამშრომლებს შეუქმნას განვითარებისა და კარიერული დაწინაურების შესაძლებლობები. შესაბამისად, დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროებისას, ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს არსებულ თანამშრომლებს, განიხილავს შიდა კანდიდატებს ახალ როლზე და წაახალისებს როტაციას თუ დაწინაურებას ორგანიზაციაში.

ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ ნებისმიერ თანამშრომელს, წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა ამა თუ იმ თანამდებობაზე და ის განხილული იყოს როგორც კანდიდატი, ობიექტურობისა და შესაბამისი პროცედურის დაცვით.

საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ ლიდერობის პროგრამებში, რომლის მიზანიცაა მათი მენეჯერული და ლიდერული უნარების განვითარება.

ასევე, ახალი თანამშრომლებისთვის მარტივი ინტეგრაციის ხელშეწყობისა და შიდა კორპორატიული სისტემებისა და პროცედურების გაცნობის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ეფექტურ ტრენინგ პროგრამას. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კომპანიის მისიისა და მიზნების და საქმიანობის შესახებ.

გენდერული ბალანსი

ჩვენ თანამშრომლებს ვეპყრობით თანასწორად და სამართლიანად, პატივსცემთ და ვაფასებთ მათ განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ეთნიკური კუთვნილებისა, რასისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, სექსუალური ორიენტაციის ან შეზღუდული შესაძლებლობებისა.

ჩვენი სამუშაო ძალა შედგება როგორც დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებისგან, ასევე ახალი იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდებისგან.

თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება კომპანიაში:




**სულ დასაქმებულთა რაოდენობა**: 518

მენეჯერული რგოლის ხელმძღვანელობის გენდერული გადანაწილება კომპანიაში:




**მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობა**: 45

თანამშომელთა ასაკობრივი გადანაწილება:




**სულ დასაქმებულთა რაოდენობა**:518

**გარემოს დაცვა**

კომპანია იაზრებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების, საზოგადოების, თანამშრომლების და გარემოს წინაშე. ჩვენი მიზანია ვუზრუნველვყოთ მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დივერსიფიცირებული სამუშაო ძალა, თანასწორობა, მომხმარებელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება, ასევე მომხმარებელთა უკუკავშირის სისტემის განვითარება.

კომპანია ახლო მომავალში მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნას, რომელიც დაეხმარება კომპანიას მდგრადობის მიმათულებით მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმაში.

**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვოთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

**ბიზნესმოდელის მიმოხილვა**

ჩვენი ბიზნეს მოდელი გულისხმობს მომხმარებლისათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების შეთავაზებას და ამ პოლისების შესაბამისი ანაზღაურების გაცემას, დაფარვების უზრუნველყოფას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

მომხმარებელს შეუძლია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტების გამოყენებით სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისების მიღება, როგორიცაა ჰოსპიტალური სერვისები, ამბულატორიული სერვისები და სტომატოლოგიური სერვისები.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად მომხმარებელი მიმართავს კომპანიის პროვაიდერ კლინიკას და სადაზღვევო პოლისის შესაბამის თანაგადახდის თანხას იხდის მხოლოდ, ან მიმართავს არაპროვაიდერ კლინიკას, სრულად იხდის მომსახურების თანხას და შემდგომ ანაზღაურების მიღების მიზნით მომართავს კომპანიას.

**ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის მიმოხილვა**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია რეპორტინგის, ბიუჯეტირებისა და ანალიზის განყოფილება. კერძოდ ,რეპორტინგის განგოფილების მიერ ხდება კომპანიის ყოველთვიური ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავება , IFRS სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და საბოლოოდ ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხდება ყველა მატერიალური ტრანზაქციის განხილვა, დეტალური ინფორმაციის მოძიება და შეცდდომების რისკის შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ კომაპნიის შედეგების მიმოხილვა ხდება კომპანიის ფინანსურ და გენერალურ დირექტორებთან ერთად.

**სადაზღვევო რისკი**

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ შესაძლებელია გადააჭარბოს სადაზღვევო შემოსავლებს, რაზეც გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნის შემდგომი ცვლილება.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან, ჯგუფის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითველება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

| | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| ზარალიანობის კოეფიციენტი | 82% | 86% |
| ხარჯების კოეფიციენტი | 12% | 13% |
| კომბინირებული კოეფიციენტი | 94% | 99% |

**ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- იმედი L - ის დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 170 000 მდე ადამიანს.
- იმედი L - ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 520-მდე ადამიანს.

**გამოყენებული პოლიტიკის აღწერა**

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დირექტორთა საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვეხმარებით დირექტორთა საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორიგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

გენერალური დირექტორი

ნოდარ გელოვანი:

21 ოქტომებრი 2024

**ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- იმედი L - ის დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 170 000 მდე ადამიანს.
- იმედი L - ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 520 -მდე ადამიანს.

**გამოყენებული პოლიტიკის აღწერა**

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დირექტორთა საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვეხმარებით დირექტორთა საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორიგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

გენერალური დირექტორი

ნოდარ გელოვანი:

21 ოქტომებრი 2024